საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

პარასკევი, 23 ივლისი 1920 წ.

# ერთობა

ფასი 5 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 125 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 5 მანეთი განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 10 მანეთი, მეოთხე გვერდზე 6 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (15 × 2) 200 მანეთი. ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება: ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18-თან. ტელეფონი 16—62.

№ 164 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 164

## საქართველოს სოც.-დემ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი

მოთავსებულია ერთობის ქ. № 4, მესამე სართული, შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79.

ღრმათ დამწუხრებული ონისიმე ლევანის ძე ფირცხალაიშვილი მეუღლითა და შვილებით აუწყებს ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ მათთვის ძვირფასი

**ვიქტორ ნიკოლოზის ძის იურკევიჩის**

(რუს-იმერელი)

უდროოთ გარდაცვალებას, დაკრძალვა პარასკევს 23 ივლისს დაბა საჩხერეში. (2402 1—1)

დღიდან გარდაცვალებისა სამი წლის შესრულების გამო, 25 ივლის დღით კვირას, ქუთაისის საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი ახალ ცხოვრებას უდროვოდ მოწყვეტილი ექიმი

**ანდრო მერაბის ძე კილასონიას**

სულის მოსახსენებლად, რასაც ღრმა მწუხარებაში მყოფნი უბედური მამა მერაბი, ძმები ნიკოლოზი და ანტონი, რძალი ზინა კილასონიასი, ძმისწული პატარა შურა, და ელისაბედი ჩოგავაძისა და სიძე შალვა იაკობის ძე ჩოგავაძე აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობებსა და მეგობრებს. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. პანაშვიდი 11 საათზე. (2322 3—1)

მწერალთა კავშირის საბჭო მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, კავშირის წევრის, დამსახურებულ მწერლის

**რუს-იმერელის**

(ვიქტოდ იურკევიჩის)

გარდაცვალებას. პანაშვიდი დანიშნულია დღეს, ქვაშვეთის ტაძარში, საღ. 6 საათზე. (2404 1—1)

მეუღლე სონია, შვილი აკაკი, ძმები: ამბაკო და გერმანე, დედა მართა, რძლები: სარა და მაგდანე, ბიძაშვილები: კოწია, ილიკო და ვლადიმერი ოჯახობითურთ აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ კვირას 18 ივლისს ტრაღიკულათ მოკლულ იქნა

**რაჟდენ ყიფიანი**

მიცვალებულს გამოასვენებენ რკ. გზ. საავადმყოფოდან, კვირას, დილის 10 საათზე. დასაფლავება მოხდება კუკიის სასაფლაოზე. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 ს. რკ. გზის საავადმყოფოში. (2405 3—1)

**რუსეთის სატრანსპორტო, დამზღვევი და გემთა საზოგადოება**

(საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის კონტრაგენტი)

ამით აცხადებს, რომ ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ნებართვით ქ. ფოთში და ბათომში გახსნილია

**სატრანზიტო საწყობები.**

ცნობების მიღება შეიძლება საზოგადოების ყველა კანტორებში და თფილისში, ქალაქთა კავშირში. (2399—3—1)

**ბორჩალოს სამაზრო ერობის**

გამგეობისათვის საჭირო არიან მაზრაში

**ორი ზეითალი და ორი ფერშალი**

(ზეითლები) მსურველთ უნდა წარმოადგინონ გამგეობაში დოკუმენტები და მოკლე „კურუკულუმ ვიტე." ჯამაგირი ექიმებს—10,000 მან, ფერშლებს—6,500 მანეთი თვეში.

ბორჩალოს სამაზრო ერობის გამგეობა.

ახალშენი ეკატერინენფელდი. (ნ. 3—2)

ექიმი

**ნიკოლოზ სიმ.-ძე ხეჩინოვი**

იღებს სნებიო, ქალურ და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2 ს. და საღ. 5—7 ს. ბელინსკის ქ. სახ. № 21, ბინა 2. ტელეფ. 11—74. 2048—თ.

## მუშათა დელეგაციის გაგზავნა მოსკოვში

ჩვენი პარტიის უკანასკნელმა ყრილობამ დადგენილება გამოიტანა, რომ საბჭოთა რუსეთში გაიგზავნოს მუშათა დელეგაცია, რომლის მიზანი უნდა იყოს— გაეცნოს საბჭოთა რუსეთის მდგომარეობას და გააცნოს რუსეთის დემოკრატია საქართველოს მდგომარეობას.

სამი წელიწადი არ არის გასული იმ დროიდან, როდესაც საქართველოს დემოკრატია ხელი-ხელ ჩაკიდებული იბრძოდა რუსეთის დემოკრატიის წყებებში რევოლიუციის გასაღრმავებლად და ახალი პოლიტიკურ-სოციალური წყობილების შესაქმნელად. თამამად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ მთელ რუსეთში არ იყო არც ერთი კუთხე, სადაც დემოკრატია ისეთი მედგარი დამცველი ყოფილიყო მთელი რუსეთისათვის ერთ მთლიან „რევოლიუციურ ფრონტისა", როგორც საქართველო. ამ ლოზუნგს საქართველოს დემოკრატიამ უერთგულა ბოლომდის, უკანასკნელ წამამდის, სანამ იგი რუსეთის დემოკრატიას ძალით არ მოგლიჯეს მის ნებაზე ძლიერმა გარემოებებმა. მას შემდეგ რუსეთის და საქართველოს დემოკრატიის ბედი სხვადასხვა გზით წავიდა. პოლიტიკურ-სოციალურ ცხოვრებაში რუსეთის ხალხმა აირჩია ერთი ხაზი, საქართველოს ხალხმა—მეორე. პირველი დაადგა უმცირესობის დიქტატურის გზას, მეორე—დემოკრატიზმის, უმრავლესობის ბატონობის გზას. აქ ადგილი არა აქვს იმის გარჩევას, თუ რომელი გზაა უფრო სწორი. ვიტყვით მხოლოდ ერთს: რა გზასაც უნდა დასდგომოდა რუსეთის ხალხი, რაც უნდა შემცდარად მიგვაჩნდეს ჩვენ ეს გზა, ჩვენ მაინც მთელის ჩვენის დღესაც ისეთივე პატივისცემით, თანაგრძნობით და სიყვარულით ვეპყრობით რუსეთის დემოკრატიას, როგორც სამი წლის წინ; ჩვენ გვახარებს ყველაფერი ის კარგი, რასაც რუსეთის დემოკრატია შეიძენს, და გვაღონებს ყველაფერი ის ცუდი, რაც მას ეწევა. რუს-ხალხის, რუს-დემოკრატიის წინააღმდეგ არც გაბოროტებას, არც გულღვარძლიანობას ჩვენში ალაგი არ ჰქონია. რაც უნდა შემცდრათ მიგვაჩნდეს ის გზა, რომელიც აირჩია რუსეთის დემოკრატიამ, ჩვენ მუდამ იმ აზრს ვიცავდით, რომ ნება არავის აქვს ძალდატანებით მოახვიოს რუსეთს, სხვა გზა, სხვა პოლიტიკა. ძალდატანებით ნურავინ ჩაერევა რუსეთის შინაურ საქმეებში! დეე რუსეთის დემოკრატიამ თავისუფლად გაიკვალოს გზა, თითონვე გამოსჭედოს თავისი მომავალი!—ასეთი იყო მუდამ ჩვენი შეხედულება. მართალია, ჩვენ დიდხანს ვიყავით რუსეთს სრულიად მოწყვეტილნი, საქართველოს და რუსეთს შორის დიდი ხნის განმავლობაში ჩამდგარი იყო კონტრ-რევოლიუციური ძალა, რომელიც არც საქართველოს დემოკრატიის ხმას უშვებდა რუსეთის დემოკრატიის ყურამდის და არც რუსეთის ხმას—საქართველოს დემოკრატიის ყურამდის.

დღეს ეს გამთიშველი ძალა მოსპობილია. საქართველო და რუსეთი ერთმანეთის მეზობლებათ გადაიქცნენ. მათ შორის ზავია შეკრული და მეზობლური ხელშეკრულებაა ჩამოგდებული. მაგრამ ამ ზავს და ამ ხელშეკრულებას განმტკიცება სჭირია. რუსეთსა და საქართველოს შორის მიმოსვლა და ფოსტა-ტელეგრაფიული ურთიერთობა იმდენათ დანგრეულია, რომ მოსკოვმა და თბილისმა ერთმანეთისა არა იციან-რა. ეს კიდევ ცოტაა: მოსკოვმა კარგათ არ იცის, როგორ პოლიტიკას აწარმოებენ კომუნისტები სამხრეთისაკენ, რა პოზიციაზე დგანან ისინი საქართველოს, სომხეთის, მთიელების მიმართ. ეს გარემოება შეიძლება მრავალი გაუგებრობის და უსიამოვნობის წყაროდ გადიქცეს და რუსეთსა და საქართველოს შორის ჩამოგდებული თანხმობა ისევ საფრთხეში ჩააგდოს.

სწორედ ამ მოსაზრების გავლენით იყო, რომ ს.-დ. პარტიის ყრილობამ გადასწყვიტა გაგზავნოს საბჭოთა რუსეთში მუშათა დელეგაცია. დელეგაციის მთავარი დანიშნულება უნდა იყოს— აღდგენა იმ კავშირისა, რომელიც სამი წლის წინ ასე მჭიდრო იყო რუსეთის და საქართველოს დემოკრატიას შორის და რომელიც დღეს სრულიად გაწყვეტილია მსოფლიო მნიშვნელობის გარემოებათა გამო. მან უნდა გააცნოს რუსეთის დემოკრატიას, რა გაკეთებულა საქართველოში მის შემდეგ, რაც ჩვენ ერთმანეთის მოვწყდით, რა დაატყდა თავს საქართველოს, რა მდგომარეობაში მიმდინარეობდა მისი ცხოვრება, რა და რა გარემოების გავლენით იყო გადადგმული ესა თუ ის პოლიტიკური ნაბიჯი. მუშათა დელეგაციამ უნდა საქართველოს ვითარებაში ჩაახედოს რუსეთის დემოკრატია, უნდა აცნოს მას ის ზომები, რომელიც საქართველოში მიღებულია შრომის დაცვის დარგში, მიწის საკითხის მოსაგვარებლად, მოქალაქეობრივ ცხოვრების ნორმალურ ჩარჩოებში ჩასაყენებლათ და სხვა.

ათასი ჭორია გავრცელებული საბჭოთა რუსეთში საქართველოს შესახებ. საქართველოდან წასული გაბოროტე- [illegible]

[illegible] ფუძეელი არა გვაქვს სხვანაირათ შევხედოთ საქმის მდგომარეობას. ბალშევიკურმა რუსეთმა თავის გამარჯვების მეორე დღესვე გამოამჟღავნა თავისი დამოკიდებულება სომხეთისადმი.

„ხალხთა თავისუფალ ცხოვრების საკითხის შესახებ ლენინის მთავრობამ უსიტყვოდ აღიარა სომხეთის თავისუფლება და დამოუკიდებლობა. ვინ არ უწყის დეკრეტი, რომელიც 1917 წლის დეკემბერში გამოიცა კავკასიის კომისარის სტეფანე შაუმიანის სახელზე?

მაგრამ დღევანდელი დამოკიდებულება ამავე მთავრობისა იმავე სომხეთთან სრულ უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ კომუნისტურ დიპლომატიურ პირთაც იგივე ათი ენაა, თუ მეტი არა. დღეს ლენინის მთავრობა სდებს ხელშეკრულებას მუსტაფა ქემალთან და იმის მაგივრათ, რომ გაიხსენოს მის მიერ უკვე მიღებული და მთელი ქვეყნის წინაშე აღიარებული გადაწყვეტილება სომხეთის შესახებ,—დღეს კისრულობს დაიცვას ოსმალეთის მთელი ტერიტორიის მთლიანობა; სომხეთის საკითხს კი იგი ოსმალეთის საშინაო საქითხათ სთვლის და ადგილობრივ მცხოვრებთ მოუწოდებს გადასწყვიტონ, როგორ ორგანიზაციაში უნდა შეკავშირდენ ისინი

რა განსხვავებაა მეფისა და საბჭოთა რუსეთს შორის? ნიკოლოზ მე-2 მთავრობა ომამდე ცდილობდა, რათა ოსმალეთის სომხეთს მიეღო თვითმართველობა და არწმუნებდა სომხეთს, რომ ეს საკმაოა იმისთვის, რათა სომხებმა ბულგარელების მსგავსათ ამაზე განამტკიცონ თავისი თავისუფლება.

ამ სიტყვების შემდეგ არ გასულა ერთი წელიწადიც კი და სწორედ იმავე მთავრობამ ხელშეკრულება დასდო თავის მოკავშირეებთან ოსმალეთის დანაწილების შესახებ და ამ ხელშეკრულების ძალით რუსეთმა მი- [illegible]

## საბჭოთა რუსეთში

(გაზეთებიდან)

[illegible] დან, რომელსაც ჩვეულებრივ იღებენ წითელარმიელები. („იზვესტია" № 73).

იმ ცნობების შესახებ, რომლებიც ჩვენ გადმობეჭდილი გვქონდა საბჭოთა გაზეთებიდან ადგილობრივი ზოგიერთი კომუნისტებისაგან ასეთი „უარყოფა" მოვისმინეთ: ყოველი გვარი სურსათსანოვაგე საბჭოთა რუსეთში მცხოვრებთ ეძლევა ბარათებით, განურჩევლად ყველას, ამიტომ იმის შესახებ წერას, რომ პური 200—300 მანეთი ღირს კერძოდ რა მნიშვნელობა აქვსო. ზემო მოყვანილი ცნობა ჩვენ განზრახ მოვიყვანეთ „იზვესტიიდან". იქ აშკარად სჩანს, თუ რას ღებულობს მცხოვრები—3/8 გირ., ანუ 36 მისხალ პურს. ეს ეძლევა ხალხს პეტროგრადში და სწერენ, რომ იქ მოსკოვზე უკეთესად არის საქმე დაყენებულიო. მართალია, ეს ცნობა შეეხება აპრილის თვეს, მაგრამ მას შემდეგ არ გამოკეთებულა ხალხის გამოკვების საქმე. არც პეტროგრადში, არც მოსკოვში და არც სხვა ქალაქებში...

**მემარჯვენე ესერების ოინბაზობა.** „იზვესტიაში" შემდეგი სწერია: „მარტის პირველ რიცხვებში მოსკოვის „ჩრეზვიჩაიკამ" ცნობები მიიღო იმის შესახებ, რომ მემარჯვენე ესერები შეთქმულებას აწყობენ: ისინი ცდილობენ „მთელი ძალები ტრანსპორტის აღსადგენათ" გამოიყენონ, რასაკვირველია, თავიანთ მიზნებისათვის. „ჩრეზვიჩაიკამ" მიიღო ზომები, რათა ბოლო მოეღო ესერების ასეთ განზრახვებისათვის. დააპატიმრეს რამოდენიმე პირები და დააკავეს სხვადასხვა მასალები. ესერებმა თავიანთი გეგმები მიმდინარე წლის იანვარში შეადგინეს, უნდა განეხორციელებიათ თებერვალში. გაზეთი შემდეგს შენიშნავს: „ეს უკვე დაშლილი და გადაგვარებული პარტია კიდევ არ იშლის თავისას და ჰგონია, რომ იგი განაგებს მთელი რუსეთის ბედს. 16 მარტს გამოცემულ ფურცელში ისინი,—ესერები, აღნიშნავენ, რომ მათი მუშაობის შედეგია უცხოეთთან საქონლის გაცვლა-გამოცვლის საქმის მოგვარება და აქვე მადლობას უხდიან უცხო კაპიტალისტებს საქონლის მოწოდებისათვის"... შემდეგ გაზეთი აღნიშნავს, რომ ესერები მუშაობას ეწევიან სარდაფებში, რითაც მათ ჰსურთ ბოლო მოუღონ პროლეტარიატის სიმტკიცესო. („იზვ. № 75).

**სწავლა-განათლების საქმე საბჭოთა რუსეთში.** „იზვესტიაში" მოთავსებულია ანსტ. ლუნაჩარსკის წერილი— „რამოდენიმე სიტყვა მივიწყებულ ფრონტის შესახებ", სადაც იგი ეხება სწავლა-განათლების საქმეს რუსეთში, აღნიშნავს სხვადასხვა დამაბრკოლებელ პირობებს და, სხვათა შორის, სწერს: „მე მინდა ვუპასუხო ზოგიერთ საყვედურზე, რასაც ალაგი ჰქონდა ჩვენს პარტიულ პრესაში. მაგ., რათა ვსცემთ ცოტა სახელმძღვანელოებს? ამ მხრივ თითქმის ყველაფერი გაკეთებულია, რის გაკეთებაც კი შეიძლებოდა. ჩვენ მოვუწოდეთ ყველა პედაგოგებს; დიდძალი სახელმძღვანელოები დაწერილია, ზოგიერთი (უმრავლესობა) უკვე დაიბეჭდა, დანარჩენი რიგს უცდიან. ქაღალდისა და სტამბების კრიზისმა უმაღლეს წერტილს მიაღწია. ზამთრის განმავლობაში სტამბების უმრავლესობა გაჩერებული იყო. ასეთ პირობებში ნორმალურ წიგნის გამომცემლობაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება. ტყუილათ ჰგონიათ ზოგიერთ ამხანაგებს, რომ სახელმწიფო გამოცემლობა ხშირათ სცემს ისეთ წიგნებს, რომლებიც არ არის იმდენათ საჭირო. მაგრამ პირველყოვლისა უნდა დამტკიცებული იქნეს ასეთი ბრალდება, უნდა აღინიშნოს, რომელი წიგნი არ არის საჭირო... მე შემიძლია აღვნიშნო, რომ ისეთი წიგნები, რომელსაც სააგიტაციო მნიშვნელობა არა აქვს და, მაშასადამე საჭირონიც არ არის იმდენათ, რამდენათაც სახელმძღვანელოები,—ასეთი წიგნები ძალიან ნაკლებათ იბეჭდება. წარმოდგენილი აქვთ, თუ არა ამხანაგებს, რომ სახელმძღვანელოს გამოცემა ისე, რომ ეს დაცინვა არ იქნება ჩვენი სსკოლო საჭიროების,—ნიშნავს ასეთ წიგნის მილიონებით გამოშვებას? ამისი იმედიც კი არ უნდა გვქონდეს დღევანდელ პირობებში: სახელმძღვანელოს რამოდენიმე ათეულ ათას ეგზემპლიარათ გამოცემა (რაც სულაც არ შეამსუბუქებს პროვინციის უზომო მოთხოვნილებას) მოითხოვს იმდენ ქაღალდს, რამდენსაც 5 ან 6 კარგი წიგნის გამოცემა მოითხოვდა,—ისეთი წიგნების გამოცემა, რომლებიც შესაძლებელი იქნებოდა ბიბლიოთეკაში მოგვეთავსებია და სხვ. არავითარი გადატანა ჩვენი ქაღალდის ფონდისა ერთ დანიშნულებიდან მეორეზე საქმეს ვერ გამოასწორებს, სახელმძღვანელოთა რიცხვი არ გაიზრდება. აქ საჭიროა უფრო რადიკალური ზომები. ჩვენ წინადადებას გვაძლევენ მეზობელი სახელმწიფოები,—გერმანული ფირმები წიგნების გამოცემის შესახებ ჩვენი ნიმუშების თანახმად და ეს გზა, სანამ ჩვენი ქაღალდისა და გამომცემლობის კრიზისი გაივლიდეს, ერთად ერთი საშუალებაა მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ". („იზვესტია", № 75).

**შრომის დეზერტირების დასჯა.** ეკატერინობურგის სამთო ინსტიტუტის სტუდენტები, რომლებიც „სუბოტნიკების" დროს სამუშაოთ არ გამოვიდნენ, დასჯილი იქნენ: ორი კვირის განმავლობაში მათ არ მიეცემათ პური ბარათებით. („იზვესტია", 76).

**„კომუნა და ჯანმრთელობა".** „იზვესტიაში" მოთავსებულია შემდეგი ცნობა: გამოვიდა ერთ დღიური სანიტარული გაზეთი—„კომუნა და ჯანმრთელობა" „აბანოების კვირის" აღსანიშნავათ. გაზეთში მოთავსებულია შემდეგი წერილები: ექ. გურევიჩი—„აბანოების კვირა": ექ. სემაშკო—„ყველანი აბანოებისაკენ". ექ. მოლკოვი—„აბანო და ჯანმრთელობა"; ვ. კ.—„კანის მოვლა"; ექ. დემიდოვიჩი—„აბანო და კანი"; ექ. პეტროვი—„აბანოს გავლენა ჯანმრთელობაზე"; ნ. შ.—„აბანოს ისტორია"; ჩისტიაკოვი—„საშუალება ტილების წინააღმდეგ"; ექ. გერშუნი—„კანის ავათმყოფობანი და სისუფთავე"; ექ. ფრიდი —„პარტახტიანი ტიფი" (ლექსათ) („იზვესტია", 77).

სიბინძურის პროზასთან ერთად საბჭოთა რუსეთში სიბინძურის პოეზიაც ყოფილა!..

**სამხედრო თხზულებათა დაწერის კონკურსი.** საბჭოთა რესპუბლიკის „რევვოენსოვეტის" პოლიტიკურ სამმართველოს სალიტერატურო-საგამომცემლო განყოფილება აცხადებს სამხედრო თხზულებათა კონკურსს შემდეგ თემაზე: 1) როგორ ურთიერთობაში უნდა იყვენ ომის დროს ჯარის ტეხნიკური ნაწილები; ბროშურა 4—6 დაბეჭდილი ფურცელი უნდა იქნეს: 2) როგორ ურთიერთობაში უნდა იყვენ ომის დროს არტილერია და ქვეითი ჯარი: 3—4 დაბეჭდ. ფურცელი; 3) კავშირის სამსახური ომის დროს—3—5 დაბეჭდ. ფურცელი; 5) ცხენოსანთა თავდასხმა და საწინააღმდეგო მოქმედება—3—5 დაბეჭდ. ფურცელი. აღნიშნული თხზულებები საჭიროა აფიცრობისათვის. თხზულებები წარმოდგენილი უნდა იყოს 15 ივლისისათვის. თხზულებისათვის დანიშნულია შემდეგი პრემია: პირველი—25,000, მეორე—20,000 მან. ყველა თხზულებებს შეიძენს განყოფილება; ავტორებს მიეცემათ ჯილდო არსებულ ტარიფის მიხედვით. („იზვ.", 76).

## პრესა

[illegible]

## მინისტრ ნ. რამიშვილი ბათომში

შინაგან საქმეთა მინისტრმა ნ. რამიშვილმა მრავალ რიცხოვან კრებაზე 20 ივლისს მოხსენება გააკეთა საქართველოს მდგომარეობის შესახებ. მე მაგონდება, სთქვა მან, ის დრო, როდესაც ჩვენ გვიტევდენ ოსმალთა რეაქციონერი ძალები, რომელთანაც ჩვენ ბათომის დასაცავათ ვიბრძოდით. მაგონდება, რომ იმ დროს ჩვენ წინააღმდეგ გამოვიდნენ სხვადასხვა წრეები, რომლებიც ჩვენ დამარცხებას ლამობდენ. ესენი იყვნენ ბალშევიკები, რომელთანაც ბრძოლა მათ დამარცხებით და კრეისერი „კარლის" ხელში ჩაგდებით დამთავრდა. ამავე შენობაში მაშინ მოხდა კრება ბალშევიკების მომხრე მეზღვაურებისა, რომელნიც კრიტიკას გვიკეთებდენ ჩვენ და აცხადებდენ რომ ვითომ ჩვენ მოვსპეთ თავისუფლება, რომ ჩვენ არა გვაქვს უფლება ხელში ჩავიგდოთ კრეისერი „კარლი", რომელიც რუსეთის პროლეტარიატის ინტერესებს ემსახურება და სხვა. ეხლა მე ბედნიერი ვარ ამავე შენობაში დავამოწმო, რომ ჩვენ არ მოგვისპია თავისუფლება, არამედ თავისუფლება მოსპეს მათ, ბალშევიკებმა, რომლებმაც გაანადგურეს მთელი რუსეთი და იგი სასაფლაოდ გადააქციეს. ამ ორი წლის განმავლობაში საქართველოს ხალხმა და დემოკრატიამ მრავალი გაჭირვება გადაიტანა. საქართველოს განადგურებით ემუქრებოდენ ოსმალები, დენიკინი, კომუნისტები და სხ. მტრები ჩვენი თავისუფლებისა, მაგრამ ყველა ამ გამოცდებიდან საქართველო სახელოვნათ გამოვიდა. მოხდა ფაქტი, მოქალაქენო, რომლის მგზავსიც ისტორიამ არ იცის: ორმა დიდმა სახელმწიფოს დროშამ ბათომში ადგილი დაუთმო საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის დროშას. გარწმუნებთ თქვენ, რომ ეს დროშა მუდამ იფრიალებს ბათომის თავზე. ამ გამარჯვებებმა მოგვიტანა ხალხის ერთსულოვნება, განვითარებული გრძნობა შეგნებისა და ჩვენი დემოკრატიის პასუხისმგებლობისა. ჩვენი დემოკრატია თავის ნებით არავის უტოვებს პოზიციებს. ჩვენ შეუცვლელათ და მტკიცეთ ვიცავდით ჩვენი თავის ორიენტაციას და იმედი გვქონდა მხოლოდ ჩვენი ძალებისა. ისტორიამ დაამტკიცა, რომ ჩვენ ვიყავით მართალი. ჩვენმა სახელოვანმა გვარდიამ და ჯარმა ფოილოს, წითელი ხიდისა და სხ. სამხედრო მიმართულებებზე დაამტკიცა, რომ საქართველოს ყვანან დამცველნი, რომელნიც ყოველთვის მზათ არიან მტერთან შესაბრძოლებლად. ჩვენ ხშირად გვე-

## დღეს

**მილიერანის განცხადებით მოკავშირე სახელმწიფოებმა გადასწყვიტეს ყოველის მხრივ დაეხმარონ პოლონეთს, ვინაიდან საბჭოთა რუსეთმა უარი განაცხადა დროებითი ზავის ჩამოგდებაზე.**

**საგარეო პოლიტიკის შესახებ წაკითხული დეკლარაციის შემდეგ საფრანგეთის დეპუტატთა პალატამ მილიერანის მთავრობას ნდობა გამოუცხადა 420 ხმით 152 ხმის წინააღმდეგ.**

**ოსმალეთის კაბინეთი გადადგა. ფრანგული პრესის ცნობით ახალი კაბინეთის შედგენას ისევ დიდ ვეზირს მიანდობენ.**

**ბათომიდან მოსული ცნობებით ტრაპიზონის ვილაეტი ინგლისელებს და ბერძნებს დაუკავებიათ.**

უბნებიან, რომ პოლიტიკურად ძლიერნი ვართ. მაგრამ ეკონომიურად სუსტნი და გვპირდებიან დახმარებას ჩვენი მდგომარეობის გასაძლიერებლად, მაგრამ მე ვაცხადებ, რომ ჩვენ არასოდეს არ დავთანხმდებით გავხადოთ საერთაშორისო სპეკულიაციის სათამაშოთ ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა, რასაკვირველია იგი ბრწყინვალე არ არის, მაგრამ ის ბევრათ უკეთესია ზოგიერთი სხვა ქვეყნის მდგომარეობაზე. ჩვენ ვაშენებთ და ვქმნით იმ დროს, როდესაც მაგალითად რუსეთში ანგრევენ. დაბოლოს, თვით იმ მხარეთა მდგომარეობა, რომელიც წინადადებას გვაძლევენ დახმარებისას, ბრწყინვალე არ არის. საკმარისია გაცნობა ციფრებისა, რომელიც მაჩვენებელია მრეწველობის კრიზისისა და ტრანსპორტის დაშლისა დასავლეთში, რომ ამაში დარწმუნდეთ. მომხსენებელს თავის სიტყვის დასამტკიცებლად მოყავს ციფრები და ცნობები საზღვარ გარეთის პრესისა, ადარებს რა ბალშევიკების პოლიტიკას და სოციალიზმის განხორციელების მეთოდებს საქართ. ხალხის პოლიტიკას, რომელიც ნამდვილი დემოკრატიული გზით მიდის, მომხსენებელი ხაზს უსვამს, რომ რუსეთის ბალშევიკები ვერ ასწავლიან საქართველოს დემოკრატიას საქართველოში სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას. მტრების შემოტევით საქართველოს ხალხი ამ წლების განმავლობაში მუშაობდა თავის სახელმწიფოებრივობის განსამტკიცებლად და შეუძლია მას იამაყოს თავისი მუშაობის შედეგებით. ჩვენ, საყოველთაო სწავლა-აღზრდის განხორციელების გზაზე ვიმყოფებით, ჩვენ გვაქვს უნივერსიტეტი, მალე გვექნება პოლიტეხნიკუმი, ჩვენმა საერობო და ქალაქის თვითმართველობებმა განამტკიცეს ადგილობრივ ძალა-უფლება და ფართე მონაწილეობას იღებენ მხარის ეკონომიური ცხოვრების განვითარებაში 8 საათის სამუშაო დღე დაკანონებულია. მთელი საქართველო მალე ტელეფონის ქსელით მოიფინება, დაარსდა ახალი ფოსტა-ტელეგრაფის კანტორები და სხ. მთავრობა და დამფუძნებელი კრება სარგებლობს ხალხის ნდობით და საქართველო მათ პროგრესისა და ცივილიზაციის გზისაკენ მიყავთ. ჩვენ უნდა გვწამდეს, რომ ისტორიამ საქართველოს აღმოსავლეთში დიდი კულტურული ამოცანა მიანდო. დასასრულ მინისტრმა მოუწოდა მცხოვრებთ მშვიდობიან და ინტენსიურ შრომისაკენ და აღნიშნა, რომ კერძო ვაჭრობა და მრეწველობა არ იქნება შევიწროვებული, რასაკვირველია, იმ პირობით, თუ იგი სახელმწიფოს ინტერესსა და არა სპეკულიაციას დაუწყებს სამსახურსო. მოხსენებამ დიდი გავლენა მოახდინა, ნ. რამიშვილს ხალხი ოვაციებით შეხვდა და ოვაციებითვე გააცილა.

მოხსენების შემდეგ, მინისტრს მისცეს მთელი რიგი შეკითხვებისა, რომლებზედაც მან დაწვრილებითი განმარტებანი მისცა.

რითი არის გამოწვეული შინაგან საქმეთა მინისტრის მოსვლა ბათომში? ამ კითხვაზე რამიშვილმა უპასუხა, რომ რესპუბლიკის მთავრობამ მიანდო მას ძველ დაწესებულებათა ლიკვიდაცია და ახლად მოწყობილ დაწესებულებათათვის სათანადო დირექტივების მიცემა.

მეორე შეკითხვაზე: შესაძლებელია თუ არა ოსმალეთის ჯარების შემოტევა ზღვის ნაპირებით იმ მდგომარეობაში, რომელშიაც ოსმალეთი იმყოფება? რამიშვილმა გარკვევით განაცხადა: ასეთ შეტევას ჩვენ არ ველით, მაგრამ მზათა ვართ მივიღოთ იგი ყოველ დროს და თუ ასეთი რამ მოხდება, იმ შემთხვევაში საქართველოს რესპუბლიკა შესძლებს დაიცვას თავისი თავი და ხალხი ამ შემოტევისაგანაცო. ოსმალეთის ყურადღება საბერძნეთ-მოკავშირეთა ფრონტისაკენ არის მიპყრობილი და ამიტომ, რასაკვირველია, იგი ვერ შესძლებს შემოტევის დაწყებას ჩვენს წინააღმდეგ.

მესამე შეკითხვაზე: დარჩებიან ბათომში უცხო სახელმწიფოების საკონსულოები, თუ თფილისში გადავლენო? რამიშვილმა უპასუხა: ისინი ბათომში დარჩებიან, მხოლოდ თფილისში თავის წარმომადგენლები ეყოლებათ.

მეოთხე შეკითხვაზე: რითი აიხსნება ნავთსადგურში უცხო სახელმწიფოთა სამხედრო გემების ყოფნა? სამხედრო გემები, განაცხადა რამიშვილმა, საერთოდ მთელი შავი ზღვის სანაპიროებს იცავენ. მოკავშირეთა გემების რესპუბლიკის ზღვის ნაპირებთან ყოფნა სასურველია მხოლოდ, ვინაიდან მოკავშირეთა ფლოტს საქართველოსთვის სერიოზული დახმარების აღმოჩენა შეუძლია. რა თქმა უნდა, მოკავშირეთა გემების ყოფნა ნავთსადგურში რესპუბლიკის მთავრობის დაუკითხავად არ ხდება, ვინაიდან ჩვენი ინტერესები ანტანტის ინტერესებს არ ეწინააღმდეგება. ნავთსადგურში გემების ყოფნა არ უნდა გაიგოთ ისე, თითქოს იგი გამოწვეული იყოს საქართველოში და კერძოთ ბათომში მცხოვრებ უცხოელთა ინტერესების დაცვის საჭიროებით. მოკავშირეთა ქვეშევრდომნი, რომლებიც საქართველოში სცხოვრობენ, გარეშეთა დაცვას არ საჭიროებენ, ვინაიდან თვით საქართველოს მფარველობის ქვეშ იმყოფებიან.

როგორია რესპუბლიკის სასურსათო მდგომარეობა,—იყო მეხუთე შეკითხვა. ის მდგომარეობა აღნიშნა ნ. რამიშვილმა, რომელშიაც ახლა ვიმყოფებით, დამაკმაყოფილებელია, მიუხედავად იმისა, რომ კრიტიკულივეთ ამ მხრით, ივლისი უნდა ჩაითვალოს. წელს პურის მოსავალი კარგია. პურის მკა აღმოსავლეთ საქართველოში უკვე დაიწყო და შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ამ თვის განმავლობაში დასრულდება. ასეთ პირობებში აგვისტოში ჩვენ, ალბათ შეძლება გვექნება გავუდიდოთ ულუფა მუშებს, რომლებიც ახლა მხოლოდ ერთ გირვანქა პურს ღებულობენ. ყოველ შემთხვევაში, კრიტიკულმა და მწვავე მომენტმა განვლო.

მეექვსე. როგორია მთავრობის უახლოესი მიზნები რესპუბლიკის შინაგან პოლიტიკაში? ამ შეკითხვაზე მინისტრმა უპასუხა: ამ უახლოეს დროში განზრახულია აგრარულ რეფორმის გატარების დასრულება უმთავრეს ნაწილებში. განსაკუთრებით ყურადღება აქვს მიქცეული პირველდაწყებით საყოველთაო სწავლის გავრცელებას. ამ შემთხვევაში მთავრობა ყველა ზომებს მიმართავს, რომ განათლების საქმე რაც შეიძლება უფრო ფართოდ განავითაროს. ამ წლის განმავლობაში მთავრობას შეძლება ექნება რესპუბლიკის მთელი ტერიტორია ტელეფონის ქსელით და ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებით დაფაროს. ყოველ თემში ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის კანტორა იქნება იმ მიზნით, რომ ყოველი თემი და სოფელი დაკავშირებული იქნეს იმ ქალაქთან, რომელსაც იგი ეკუთვნის; ყოველი ქალაქი დაკავშირებული იქნება რესპუბლიკის დედა-ქალაქთან. ამ ჟამად ასეთი კავშირი უკვე არსებობს თფილისთან, ქუთაისთან, ჭიათურასთან და სხვ. თფილისის გარდა კახეთსა აღმოსავლეთ საქართველოს ყველა ქალაქთან არის შეერთებული. მალე ასეთი კავშირი ფოთთანა და ბათუმთანაც დამყარდება.

მთავრობის მთავარი ყურადღება რესპუბლიკის ფინანსიურ-ეკონომიურ და სამეურნეო ცხოვრებისაკენ არის მიქცეული. ჩვენი წარმომადგენლები საზღვარ-გარეთ იმყოფებიან იმ მიზნით, რომ იქ განახორციელონ ზომები საკუთარ მტკიცე ვალიუტის შესაქმნელად. სერიოზული ყურადღება არის მიქცეული სამონოპოლიო საქონლის საზღვარგარეთ გატანის გაფართოვებაზე, ვინაიდან მხოლოდ ასეთი ექსპორტი შექმნის პირობებს საქონლის გასაიაფებლად. გატანილ საქონლის სამაგიეროდ ჩვენ ვღებულობთ პირველ საჭიროების საგნებს.

იმ შეკითხვაზე, თუ რა წესით განხორციელდება რეფორმები ბათომის ოლქში, რამიშვილმა უპასუხა, რომ უპირველესად ყოვლისა უნდა მივიღოთ ზომები ოლქში სრული წესიერების დასამყარებლად. პირველ რიგში გადაუდებელი რეფორმები გატარდება. ოლქის მცხოვრებთ საშუალება ექნებათ ბათომში თავის შეიხ-ისლამი იყოლიონ, რის შესახებ არა ერთხელ გაუკეთებიათ განცხადება აჭარლების წარმომადგენლებს. რაც შეეხება ოლქის ადმინისტრაციას, მთავრობამ გადასწყვიტა იყოლიოს ოლქში პირველ ხანებში ისეთი ადმინისტრაცია, რომელმაც წინეთაც დაამტკიცა საქართველოს ცენტრში რესპუბლიკისადმი თავისი ერთგულება. კერძოთ მილიციის შემადგენლობაში დარჩებიან ის აჭარლები, რომლებსაც საქართველოს წინაშე არავითარი დანაშაულობა არ მიუძღვით და რომლების კმაყოფილნიც არიან მცხოვრებნი.

მეშვიდე. მოახდენენ თუ არა ბათომში სკოლების ნაციონალიზაციას? მინისტრმა უპასუხა, რომ საშუალო სასწავლებელში ნაციონალიზაციას გაატარებენ, მაგრამ რა თქმა უნდა რუსებისათვის და საერთოდ არა ქართველთათვის პარალელური კურსები გაიხსნება.

დასასრულ რამიშვილმა განაცხადა, რომ მან ივლისის 19 ინახულა ქედა და ხულო და მთავრობის სახელით წინადადება მისცა ხულოს მცხოვრებთ, რომელნიც მას შეეგებენ, რომ ერთი კვირის განმავლობაში ჩააბარონ სამხედრო ნაწილთ იარაღი და ყველა სხვა სამხედრო მასალა. მინისტრმა განუცხადა მათ, რომ საქართველოს მთავრობა აუნაზღაურებს ზარალს იმ პირებს, რომლებიც საქართველოს მთავრობას იცავდნენ და ამ შეტაკების დროს დაზარალდნენ. ამასთანავე მან განაცხადა: იმ შემთხვევაში, თუ დანიშნულ დროსთვის ეს მოთხოვნილება არ იქნება შესრულებული, მთავრობა სასტიკ და გადამწყვეტ ზომებს მიმართავს. მცხოვრებლებმა უნდა გასცენ აგრეთვე მათ წრეში დამალული ოსმალეთის ოფიცრები. რესპუბლიკას არ სურს ვინმეზე შური იძიოს, მაგრამ თუ რომელიმე, თუ გინდ სულ მცირე ჯგუფი, რესპუბლიკის წინააღმდეგ გაილაშქრებს, მას სასტიკათ მოეპყრობიან. აჭარის მცხოვრებთა წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ისინი უსიტყვოთ შეასრულებენ მთავრობის ყველა მოთხოვნილებას. (სდს).

## ბათომის გვარდიას

სალამისათვის მხურვალე მადლობა და ძმურ მოკითხვას გითვლის ჩემის პირით რესპუბლიკის ჯარი. ჩვენი სამხედრო ოჯახი ხარობს და ზეიმობს საქართველოს დემოკრატიის საერთო დღესასწაულს და კიდევ უფრო ბედნიერია იმით, რომ თქვენის სახით მას ახალი, ბრძოლაში გაფოლადებული, ვაჟკაცი—ძმა ამოუდგა გვერდით.

საქართველოს მუშათა დემოკრატიის ისტორიაში ორი სიტყვა „ბათომის მუშა" კლასობრივ-მოქალაქობრივ შეგნებისა და რევოლიუციონურ თავდადების საუკეთესო ატესტატი იყო; და ჩვენ ყველასა გვწამს, რომ ასეთივე იქნება „ბათომელი გვარდიელი".

რესპუბლიკა დამშვიდებულია იმ მეტად საპასუხისმგებლო საგუშაგოს შესახებ, რომელსაც თქვენ იცავთ. ევროპასთან ჩვენი ურთიერთობის ალაყაფის კარი საიმედო ხელშია.

სამხედრო მინისტრი

**გრ. ლორთქიფანიძე.**

## ცხენოსანთა დივიზიის განიარაღება კავკავში

წარსული ივნისის პირველ რიცხვებში საოლქო რევკომმა განაიარაღა რაღაც ღალატისებურ ბრალდების ნიადაგზე ახლად შედგენილი და დასრულების პროცესში მყოფი კავკასიის 2-რე ცხენოსანთა (ნახევრად ქართული) „ტუზემნაია დივიზია". მისი სარდალი ნიკო მარიკოზაშვილი, რუსეთში კარგად ცნობილი კომუნისტი, შეიპყრეს და საპყრობილეში მოათავსეს. ხოლო მისივე შტაბის სამი თანამშრომელი, სამივე კომუნისტები, იმ დროს შიშისგან თავზარ-დაცემულნი სადღაც გაიქცნენ და ხუთი მილიონი მანეთი ფულიც თან გაიყოლეს.

ვინც „სოციალისტურ" საბჭოთა რუსეთის ცხოვრებას ოდნავ მაინც იცნობს, მისთვის აქ არაჩვეულებრივი და გასაკვირველი არაფერია. ეს მხოლოდ გაგრძელებაა იმისი, რაც მანამდისაც ხშირად ხდებოდა.

ღალატი და ძარცვა შინ და გარეთ, —აი რა ახასიათებს რუსეთის კომუნისტური ცხოვრების შინაარსს. მაგრამ ყურადსაღებია არა ეს მხარე ამ მოვლენისა, არამედ, მეორე—რომლითაც მარიკოზაშვილს მთელი დივიზიითურთ მარჯვე შემთხვევაში საქართველოს მხარეზე ჯარის გადაყვანის განზრახვაში სდებენ ბრალს. მერე საიდან გამოატყვრინეს რევკომებმა ამის საბაბი,—ალლაჰმა უწყის: იქნება იმ სიტყვებიდან, რომლითაც მარიკოზაშვილმა ერთ შემთხვევაში მიმართა დივიზიას, რომ ამიერიდან რუსეთსა და საქართველოს შორის ზავი შეიკრა და ჩვენ კი პოლონეთის ფრონტს უნდა მივეშველოთო, მაგრამ სად არის აქ ღალატი. მეორე დღეს კომუნისტურ გაზეთში ვკითხულობთ: რუსეთსა და საქართველოს შორის მომხდარი ზავი ნაკარნახევია არა დამოუკიდებელი ბურჟუაზიული საქართველოს ცნობის თვალსაზრისით, არამედ—საქართველოში მომქმედ კომუნისტური პარტიის გაძლიერების ინტერესებით ერთი მხრივ და მეორე—სოციალისტური რუსეთის სამხედრო ძალთა დასვენებით, მისი მტრების წინააღმდეგ წესიერ განაწილებამდე, რის შემდეგ დასძინდა გაზეთი, წესი უნდა აეგოს საქართველოს ბურჟუაზიულ მთავრობასო.

ეს კონტრ-პასუხია მარიკოზაშვილის იმ სიტყვებზე, რომლითაც მან მიმართა დივიზიას.

ამის შემდეგ დივიზია კვლავ თავის ალაგას რჩება, მაგრამ ათი დღის შემდეგ მას შლიან.

ყველა ამის შემდეგ ეძებ კონკრეტიულ, დალაგებულ მიზეზს და ვერ გინახავს!

ამ ეჭვისა და დაუნდობლობის ქვეყანაში გაურკვევლობის დაღი აზის ყოველგვარ მოვლენას, მაგრამ მე მაინც უფლებას ვაძლევ ჩემს თავს ბრალდება არ ვიწამო იმ სახით, რა სახითაც იმას უყენებენ დივიზიას.

ამის შემდეგ ნურას უკაცრავად, თუ კვლავ განვიმეორო ის სიტყვები, რომლითაც წინედ ხშირად ვამტკიცებდი და ვამტკიცებ დღესაც საქართველოსა და რუსეთის კომუნისტების საყურადღებოდ, რომ პოლიტიკური ნაძირალებია და არა სოციალისტები ის ვითომდა ქართველი მუშები, რომლებიც რუსეთის კომუნისტების დასახმარებლად ებრძოდენ და ძირს უთხრიდენ საქართველოს რესპუბლიკას, რომლებიც გადვიდენ რუსეთში ვითომდა დახმარებისათვის, მაგრამ ისე აინტერესებდა მათ დახმარება, როგორც ცხონებულს ჯოჯოხეთში წაწყმენდა, რომ მხოლოდ მათი გადასვლის მიზანი მოლეწილ გაპარტახებულ რუსეთიდან ფულისა და ნივთის შეძენა იყო და მეტი არაფერი.

ალმოჩნდა თუ არა, რომ რუსეთში ამ სიკვდილისა და შიმშილის სამფლობელოში ყველაფერი თანადროულად, უთანასწოროდ განაწილებული და გათავებულია, ქართველი კომუნისტები თავიანთ მოაზრებითურთ კვლავ შეეცადნენ სამშობლოში დაბრუნებას სხვა და სხვა კომბინაციებით, მაგრამ მათ ბედმა აქაც უმუხთლა. მოკლედ—ქართველი საქართველოდან კომუნისტური ფერუმარულით შეთითხნილი და რუსეთში გადასულ, კონტრ-რევოლიუციონერების სახელ-წოდებით მოეშურებიან რუსეთიდან საქართველოში. ასეთია ხვედრი ბედის იმ მაძიებელთა, რომლებიც ფიქრობენ თავისუფლებაა იქ, სადაც ჩვენ არ ვართო.

საქართველო დიდ ბუნებიანია,—მათ მაინც მიიღებს!..

**ხამ. ჯაში.**

## დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

22 ივლისი.

**ფრანგული ცნობები.**

**დანციგის გარშემო.**

(დასაწყისი არ არის მიღებული) ეს ეხება პოლონეთსა და ქალაქ დანციგის შორის დადებულ კონვენციას. ელჩების საბჭო მზათ არის დანციგი თავისუფალ ქალაქათ აღიაროს.

**პოლონეთი და რუსეთი.**

პოლონეთსა და საბჭოთა რუსეთს შორის დროებით ზავის შესახებ მილიერანმა განაცხადა: მე დღეს დილით მაცნობა ინგლისის მთავრობამ, რომ საბჭოთა რუსეთმა ჩვეულებრივი თავხედობით უპასუხა ლოიდ ჯორჯის თხოვნას, რომ მას ხელი მოეწერა დროებით ზავზე. რადგანაც რუსეთმა უარი განაცხადა დროებით ზავის ჩამოგდებაზე, ამიტომ მოკავშირე სახელმწიფოებმა გადასწყვიტეს ყველა შესაძლებელ საშუალებით დაეხმარონ პოლონეთს.

**გერმანიის განიარაღების და ზარალის ანაზღაურების საკითხი.**

ფინანსთა და გარეშე საქმეთა ქვეკომისიები, რომელთაც ვერსალის ხელშეკრულების პირობების ასრულების თვალყურის დევნება აქვს დავალებული კლოტცის თავმჯდომარეობით სამშაბათს დილით შეიკრიბნენ. გადასწყდა, რომ ამ ქვეკომისიების თავმჯდომარეები სთხოვენ მილერანს სასწრაფოთ მიიღოს ქვეკომისიების წევრები. თავმჯდომარეებმა იქვე შეიმუშავეს შეკითხვის ტექსტი გერმანიის განიარაღების, ნახშირის და ზარალის ანაზღაურების შესახებ.

**ოსმალეთში.**

იმ ცნობების მიხედვით, რომლებიც კონსტანტინეპოლიდან „ტანმა" მიიღო როდესაც დიდი ვეზირი კონსტანტინეპოლში დაბრუნდა, მასა და კაბინეტის წევრთა შორის სამეფო საბჭოს მოწვევის საკითხის შესახებ კამათი გაიმართა. დიდი ვეზირი სამეფო საბჭოს მოწვევაზე უარს ამბობდა. განათლების მინისტრი ფარეონი და ფინანსთა მინისტრი რეშადი, რომლებიც სამეფო საბჭოს დაუყონებლივი მოწვევის მომხრენი იყვნენ, კაბინეტიდან გავიდენ. ორშაბათს, დიდი ვეზირი სასახლეში წავიდა, რათა ჩაებარებია სულთანისთვის მთელი კაბინეტის გადადგომის ქაღალდი. ოფიციალურ წრეებში ფიქრობენ, რომ კაბინეტის შედგენას ისევ დიდ ვეზირს მიანდობენ.

**პურის საკითხი საფრანგეთში.**

ყველა ქვეყნებიდან, რომლებიც ომში მონაწილეობას იღებდენ, რასაკვირველია, შეერთებულ შტატების გამოკლებით, მხოლოდ საფრანგეთს ეყოფა თავისი პური.

**შორეულ აღმოსავლეთი და ევროპა.**

„ეკო დე პარი" იუწყება, რომ საზღვაო ტრანსპორტის კომპანიას, რომელიც არ კმაყოფილდება ანტვერპენსა და შორეულ აღმოსავლეთის შორის მოწყობილ მიმოსვლით, განზრახული აქვს ახალი მიმოსვლა მოაწყოს „ინდოეთის კომერციულ ხაზის" სახელმწიფოებით. ამ კომპანიის გემების გზა შემდეგი იქნება: პორტ-საიდი, ადენი, კოლომბო, პანდიშერი, მადრასი და კალკუტა.

**პოლონეთის უფლებები ტეშენზე.**

ელჩთა კონფერენციამ მოუსმინა პადერსკის, რომელიც იცავდა პოლონეთის უფლებებს ტეშენზე.

**ნდობა მილიერანის მთავრობას.**

მილიერანის დეკლარაციის შემდეგ, მთავრობის საგარეო პოლიტიკის შესახებ, დეპუტატთა პალატამ მას ნდობა გამოუცხადა 420 ხმით 152-ის წინააღმდეგ.

**საფრანგეთი და პოლონეთ-ჩეხო-სლოვაკია.**

დეპუტატთა პალატის სხდომაზე მილიერანმა განაცხადა: ჩვენ გვსურს დავიცვათ ყველგან საფრანგეთის ინტერესები. საფრანგეთის ინტერესებში შედის დაცვა პატარა სახელმწიფოებისა და განსაკუთრებით ისეთების, როგორიც არის მაგ. პოლონეთი და ჩეხო-სლოვაკია. ამ სახელმწიფოების არსებობა ჩვენთვის აუცილებელ გარანტიას წარმოადგენს.

**გენ. ვრანგელის მთავრობა.**

გენერალი ვრანგელი (დამახინჯებულია)... კარგათ იბრძვის ბალშევიკებთან. მან შეადგინა ნამდვილი საქმიანი მთავრობა, ეხმარება მცხოვრებთ და ცხოვრებაში ატარებს აგრარულ რეფორმას. მან გლეხებს დაუყო მიწა, როდესაც ეს საქმიანი მთავრობა მოინდომებს, რომ იგი იქნეს აღიარებული, როგორც ასეთი, თავის თავად ცხადია, ვრანგელს მთავარ პირობათ წარუდგენენ მოკავშირეთა წინაშე ძველი რუსეთის ვალდებულებათა აღიარებას და მასზე პასუხისმგებლობას;

**ლიონის რადიო სადგურის ცნობა.**

(ინგლისურ ენაზე).

**ნახშირის დამუშავება.**

სტატისტიკური ცნობებით ნახშირის დამუშავება საფრანგეთში ძლიერ გადიდდა.

## საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

8 ივლისი.

**პარიზი.** „ჟურნალ დე დება" იუწყება: ჩიჩერინმა მუსტაფა ქემალს მიმართა ნოტით, რომელშიც წინადადებას აძლევს მას, რომ მან უცხო იმპერიალიზმს, რომელიც ოსმალეთსა და რუსეთს ემუქრება, სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიოს. იგივე გაზეთი იტყობინება, რომ რუსეთსა და ქემალისტებს შორის სავაჭრო დამოკიდებულება თანდათან ნორმალურ ხასიათს იღებს.

**ლონდონი.** „ტაიმსი" ბეჭდავს ცნობას სტოკჰოლმის კორესპონდენტისას, რომელსაც შემთხვევა ქონდა ესაუბრა ბრიტანეთის დელეგაციის ორ წევრთან, რომლებმაც რუსეთი ინახულეს. დელეგაციის მესამე წევრი კლიფორდ ალენი ავათ გახდა და რეველის საავადმყოფოში დარჩა. დელეგაციის ორივე წევრმა —გესტმა და სნოუდენმა—განაცხადა, რომ ისინი ჯერ-ჯერობით თავს იკავებენ თავის მოგზაურობის შესახებ ვრცელ ანგარიშის მოცემაზე და საერთო ხასიათის ცნობების მოწოდებით დაკმაყოფილდებიან. მათ ისეთი შთაბეჭდილება გამოიტანეს, რომ საბჭოთა რუსეთის მთავრობა არ აძლევდა მათ საშუალებას ხალხთან თავისუფლად მისულიყვნენ. კორესპონდენტის შენიშვნაზე, რომ ეს მაინც და მაინც არ ამტკიცებს საბჭოთა მთავრობის მიერ თავისუფლების პრინციპის დაცვას—გესტმა სიცილით უპასუხა. სხვათა შორის ქალბატონმა ენოუდენმა განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობას ყველაზე მეტად არ ესიამოვნება მისი განცხადება, რომ ბალშევიზმს არავითარი შანსები არ აქვს იმისა, რომ იგი ინგლისში გავრცელდება. ბალშევიკებს მით უფრო არ ესიამოვნა ჩემი განცხადება, რომ იმათ ჩააგონეს ხალხს თითქოს მთელ ქვეყანაზე, და განსაკუთრებით კი ბრიტანეთის მუშათა შორის, ბალშევიზმი გიგანტურ ნაბიჯებით ვრცელდებოდეს. ქალბატ. სნოუდენმა დაუმატა, რომ იგი იმ რწმენით ბრუნდება, რომ ინგლისი ბალშევიკებისაგან ვერაფერს ისწავლის. ინგლისი—ეს კონსერვატიული ქვეყანა უფრო ახლოა სოციალიზმთან, ვიდრე ბალშევიკური რუსეთი. ბალშევიკებს ხელს უწყობს ომი. რომ ხვალ ზავი გამოცხადდეს, ბალშევიკების წინააღმდეგ საერთო რეაქცია დაიწყება და საბჭოები იძულებულნი იქნებიან ან წავიდენ, ან ძირიანად შესცვალონ თავისი პოლიტიკა. გესტი ამოწმებს, რომ ხალხი ბალშევიკებს უკვე აღარ ენდობა. მაგრამ ამასთანავე წითელი არმია კარგათ არის მოწყობილი, და ქუჩებშიაც კარგი წეს-რიგია ტერორის, პოლიციისა და შპიონაჟის მეოხებით.

ექიმი გესტი და ქალბატონი სნოუდენი ამბობენ: საშინელ შიმშილის და სიღარიბის მიზეზი არის ბლოკადა და ომი, რომელსაც ბალშევიკები აწარმოებენ. ამის მიზეზია აგრეთვე ტრანსპორტის სრული დაშლა. საბჭოთა ინჟინრები გზების განახლების საქმეში სასწაულს სჩადიან, მაგრამ მათ, ბალშევიკებს, არ აქვთ მოძრავი შემადგენლობა, და ორთქლმავალების დელეგაციის წევრების საერთო შთაბეჭდილება ასეთია: ბნელ მასაში შეანათა სინათლემ. ტერორის დასასრული ახლოვდება. მასის ბალშევიკების წინააღმდეგ აღშფოთებას ხელს უშლის ომი, რომელიც პატრიოტულად განწყობილ ელემენტებს აკავშირებს.

**ბათომი.** (საკ. კორ.) „მატენს" კოვნოდან გამოგზავნილი გერმანულ გაზეთ „ბერლინერ ტიუნდეს" კორესპოდენტის დეპეშა მოყავს იმ სენსაციურ ხმების გამო, თითქოს კენინგსბერგის ახლოს თავს იყრიდენ ახალი ანტი-ბალშევიკური ძალები, შეგვიძლია შემდეგი გაუწყოთ: „ამ ანტი-ბალშევიკურ მოძრაობის სათავეში სდგას ყოფილი დროებითი მთავრობის სამხედრო მინისტრი ა. გუჩკოვი, რომელმაც შესძლო ევროპაში დიდძალი თანხის შეკრება ანტიბალშევიკურ ჯარების შესაქმნელათ. ამ ჟამად ამ ჯარში 60,000 კაცი ითვლება. ჯარი უზრუნველყოფილია სამხედრო მასალით და ტანისამოსით. ეს ჯარი უმთავრესად ბერმონტის დაშლილ არმიისაგან არის შემდგარი. თანახმად შემუშავებულ გეგმისა, გუჩკოვის ჯარმა ლიტვისა და ლატვიის მხრით უნდა გაილაშქროს შემოდგომამდე.

**ბორჩალო.** (სპეც. კორესპ.) ძლიერმა სეტყვამ ბაშკიჩეთის რაიონის საგრძნობი ნაწილი გაანადგურა. თანახმად სამაზრო ერობის ცნობებისა, სეტყვით დაახლოვებით 2.000 დესეტინა ნათესი არის დაზარალებული. მცხოვრებლებმა დახმარების აღმოსაჩენად ერობას მიმართეს. ივნისში სეტყვისაგან ეკატერინოფელდის რაიონის 101 სოფელი დაზიანდა. მიუხედავათ ამისა, ქვემო ბორჩალოში ისეთი კარგი მოსავალია, რომ მომარაგების სამინისტრო 100.000 ფუთ ხორბლის გამოტანას ფიქრობს. ამ ოპერაციებში მხურვალე მონაწილეობას იღებს აგრეთვე ბორჩალოს სამაზრო ერობა. პურის შესყიდვა კარგად მიმდინარეობს. უკვე დარიგებულია ბე. მაგრამ ბაზრის ფასი მაინც ცვალებადია.

**ბათომი.** ტრაპიზონში ბერძნებისა და საერთოდ საბერძნეთის ქვეშევრდომთა წინააღმდეგ ოსმალეთის თანამდებობის პირებმა განსაკუთრებულ რეპრესიულ ზომებს მიმართეს. ბერძნები იძულებულნი არიან ოჯახებიანათ ნავებითა და შხუნებით გაიქცნენ. თანახმად ბათომში მოსულ ცნობებისა, ტრაპიზონის ვილაიეტი ინგლისელებსა და ბერძნებს დაუკავებიათ.

**ბათომი.** (საკ. კორ.) სომხეთის გენერალურ საკონსულომ ბათომის საზოგადო საკრებულოს დარბაზში ბათომისა და ბათომის ოლქის საქართველოზე გადმოცემის გამო ბანკეტი გამართა. ბანკეტს დაესწრენ: ოლქის განსაკუთრებული კომისარი ბ. ჩხიკვიშვილი თავის უახლოეს თანამშრომლებით, სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისის თავმჯდომარე მემედ აბაშიძე პრეზიდიუმის წევრებთან ერთად, ბათომში მყოფი საფრანგეთის მისიისა და სომხურ. პოლონურ, ქართულ, ბერძენთა და ებრაულ საზ. წარმომადგენლები, საზოგადო მოღვაწენი და სხვები. პირველი სადღეგრძელო საქართველოს მთავრობის და ქართველ ხალხის პატივსაცემლად წარმოსთქვა სომხეთის გენერალურმა კონსულმა ათაბეგიანმა. მან საქართველოს უსურვა აყვავება და რესპუბლიკის განმტკიცება. მან რწმენა გამოსთქვა, რომ საქართველო დაიცავს რა თავის ტრადიციებს, მხედველობაში მიიღებს სომხეთის ინტერესებს ბათომში. სადღეგრძელოს დროს ჰიმნი დაუკრეს. საპასუხო სიტყვით მიმართა მას ჩხიკვიშვილმა, რომელმაც სომხეთის დემოკრატიას უსურვა თავისი იდეალების განხორციელება. ჩხიკვიშვილმა სთქვა: იგი არ არის ნამდვილი პატრიოტი ვინც, თავის ხალხის ინტერესების დაცვასთან ერთად ყურადღებას არ აქცევს და პატივისცემით არ ეპყრობა მეზობლის ინტერესებსო. ამიტომ სამწუხაროა, რომ ამიერკავკასიის ოჯახის ერთმა წევრმა აღერბეიჯანმა უღალატა საერთო საქმეს. რითაც უპირველესად ყოვლისა თავის თავს მიაყენა ზიანი. საქართველო და სომხეთი კულტურის და პროგრესის სადარაჯოზე სდგანან. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საერთო ძალღონით ამიერ-კავკასიის ერები შექმნიან ისეთ პირობებს, რომლებიც მათ თავისუფალ და დამოუკიდებელ არსებობასა და განვითარებას

## სხვადასხვა ქვეყნის სახელმწიფოებრივი წესწყობილება

(იხ. „ერთ." №№ 151, 152, 153, 156, 157, 158, 162, 163)

**ნორვეგია.**

ნორვეგიაში არსებობს **კონსტიტუციური მონარქია.** დღეს იქ მომქმედი კონსტიტუცია მიღებულია 1814 წელს. 1905 წელს ის უნია, რომელიც აერთებდა ნორვეგიას შვეციასთან (საერთო მეფე), მოისპო. ორი სახელმწიფო, უნიით გაერთიანებული, ერთმანეთს გასცილდა.

სახელმწიფოს ოფიციალური სარწმუნოება არის ლიუტერანული სარწმუნოება. იეზუიტებს არა აქვთ უფლება მოღვაწეობისა.

მეფეს ეკუთვნის აღმასრულებელი ხელისუფლება. იგი უპასუხისმგებლოა. იწვევს საკანონმდებლო პალატის მხოლოდ არაჩვეულებრივ სესიას. ჩვეულებრივ პარლამენტი თვითონ იკრიბება. ეს გამარჯვებაა სახალხო წარმომადგენლობის.

მეფეს შეუძლიან გააგრძელოს მხოლოდ პარლამენტის სესია. აქვს საკანონმდებლო ინიციატივა. ამტკიცებს კანონებს. თუ მეფეს მიერ უარყოფილ კანონს მიიღებენ სამჯელ ჩვეულებრივ არჩეული პარლამენტი, იგი ძალაში შედის მეფის დაუმტკიცებლადაც. მეფის ხელშია შეწყალება. იგი ნიშნავს და ითხოვს მინისტრებს. მას ეკითხება ომი და ზავი, სამხედრო ძალების ბრძანებლობა და სხ. მეფე ფულს სდებს **სტორტინგის** (პარლამენტის) წინაშე კონსტიტუციის ერთგულებისთვის.

არის სრული კონსტიტუციური თავისუფლება პიროვნების, ხელშეუხებლობა ბინის, უფლება წერის, სიტყვის, კრების და სხვა.

პარლამენტი შესდგება ორი პალატისაგან: ქვედა პალატა, რომელსაც ჰქვიან **ოდელსტინგი** და ზედა პალატა, რომელსაც **ლაგტინგს** უძახიან. ამ საკანონმდებლო პალატებს საერთო სახელი აქვთ: სტორტინგი.

დეპუტატები ირჩევიან სამი წლით. საარჩევნო პირობები ერთი და იგივეა ორივე პალატისთვის. აქ ისეა მოწყობილი საქმე, რომ მხოლოდ ერთგვარ დეპუტატებს ირჩევენ. ოდელსტინგი და ლაგტინგი შესდგებიან ერთსა და იმავე დროს არჩეულ წარმომადგენლებისაგან. როდესაც არჩეული დეპუტატები შეიკრიბებიან, პირველ სხდომაზედვე ირჩევენ თავის წრიდან დეპუტატთა ერთს მეოთხედს. აი ეს მეოთხედი ნაწილი დეპუტატთა შეადგენს ზედა პალატას—ლაგტინგს, ხოლო დანარჩენი დეპუტატთა სამი მეოთხედი შეადგენს ქვედა პალატას—ოდელსტინგს. ეს ერთად ერთი მაგალითია კონსტიტუციურ ქვეყნების ისტორიაში, რომ მეორე პალატა ასეთი წესით სდგებოდეს. საყურადღებოა აზრი და მოტივი ამგვარი ორ პალატიანი სისტემისა.

არის საყოველთაო, მაგრამ ორ სართულიანი არჩევნები. ქალებს აქვთ მინიჭებული პოლიტიკური უფლებები. ყველას შეუძლიან არჩეულ იქნეს, აუცილებელია მხოლოდ უკანასკნელი 10 წ. ბინადრობა ნორვეგიაში და 30 წლის ასაკი.

დეპუტატები სარგებლობენ შეუვალობას. პასუხს არ აგებენ სიტყვისა და ხმის მიცემისათვის; არც დაჭერა და შეპყრობა შეიძლება მათი სესიის დროს, თუ არ განსაკუთრებულ შემთხვევაში.

დეპუტატებს ეძლევათ გასამრჯელო. უფლების საკითხებში სტორტინგს შეუძლიან აზრი ჰკითხოს უმაღლეს სასამართლოს.

ვინც ემორჩილება ბრძანებას, რომელიც თავისუფლებას და სტორტინგის უფლებებს არღვევს, ცხადდება სამშობლოს მოღალატედ.

მინისტრები, დანიშნულნი მეფის მიერ, პასუხისმგებელნი არიან სტორტინგის წინაშე. მინისტრებს და უმაღლეს მოხელეებს ასამართლებს უმაღლესი სასამართლო, შემდგარი ლაგტინგის წევრთაგან.

კონსტიტუციაში შეიძლება მხოლოდ ისეთი ნაწილობრივი ცვლილების შეტანა, რომელიც არ ეწინააღმდეგება მის ძირითად პრინციპებს. წინადადება ასეთი ნაწილობრივი ცვლილებისა შეტანილ უნდა იქნეს სტორტინგში. შემდეგ ეს წინადადება უნდა გამოქვეყნდეს. გადაშინჯვის წინადადება უნდა მიიღოს ახალმა სტორტინგმა თავის წევრთა ორი მესამედის უმრავლესობით.

თვითმართველობა ნორვეგიაში საკმაოდ განვითარებულია. საერთოდ უნდა ითქვას, რომ მიუხედავად კონსტიტუციურ-მონარქიულ კონსტიტუციისა, პატარა ნორვეგია უაღრესად დემოკრატიული და კულტურული სახელმწიფოა. მეფის უფლებები იქ უფრო საპატიოდ არის აღნიშნული ძირითად კანონებში, თორემ ნამდვილად **მთელი პოლიტიკური ხელისუფლება ხალხის წარმომადგენელთა ხელშია.** ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ნორვეგიის პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივი ურთიერთობა არ განიცდიდეს ევოლიუციას კიდევ უფრო სრული დემოკრატიზმისკენ. უნდა აღინიშნოს ნორვეგიის ხალხის მშვიდობის მყოფელობა, კულტურული ამაღლება და თავისუფლების სიყვარული.

**ნ. საქარელი.**

უზრუნველყოფს. სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე საფრანგეთის მისიის წარმომადგენელმა, საბერძნეთის კონსულმა და სხვებმა.

## საბერძნეთის მისიის ცნობა

ფრონტის სამხრეთ ნაწილში ნაზლი დაეცკავეთ.

სმირნაში შეიკრიბა 8.000-მდე სომეხი—მოხალისე. ესენი ბერძენთა ჯართან ერთად მუსტაფა ქემალის წინააღმდეგ გაილაშქრებენ.

იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა სოფრცმა გაზეთების წარმომადგენლებს განუცხადა: გაუგებრობა, რომელიც იტალიასა და საბერძნეთის შორის მოხდა, უკვე გამოირკვა.

ათინის გაზეთის კორესპონდენტს ვენიზელოსმა განუცხადა: ოსმალეთის პასუხის მოლოდინში მცირე აზიაში შეჩერებულია სამხედრო ოპერაციები. თუ ოსმალეთის დელეგატები საზავო ხელშეკრულებას ხელს არ მოაწერენ, მაშინ ოსმალეთს გამოაცხადებენ ყველა მოკავშირეთა წინააღმდეგ მებრძოლ ქვეყნათ და დროებითი ზავი დარღვეული იქნება. (სძს.)

## ახალი ამბები

**დღეს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია საქ. ს. დ. მ. პ. ცენტრალური კომიტეტის მორიგი სხდომა.**

✦ **თფილისის გენ.-გუბერნატორის განკარგულება.** თფილისის გენ.-გუბერნატორმა აუწყა რუსთა ეროვნულ საბჭოს, რომ იმ შემთხვევაში, თუ საბჭოს შენობაში მოხდა ნება დაურთველი კრებები, საბჭოს დავკეტავ და კრების ორგანიზატორებს პასუხისგებაში მივცემო. საბჭოს პრეზიდიუმმა თფილისის გენ.-გუბერნატორს უპასუხა: ჩვენ არ შეგვიძლიან კომუნისტების მოქმედებაში პასუხისმგებლობის ჩვენს თავზე მიღება, მით უმეტეს, რომ სხდომის დარბაზი, სადაც კრებები ხდება, ჩვენ კომუნისტებისათვის არ დაგვითმიაო.

✦ **თათბირი ვალიუტის შესახებ.** ივლისის 23, ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის თანამდებობის დროებით აღმსრულებელ ს. ავალიანის თავმჯდომარეობით შესდგება ფინანსთა მინისტრის სასწრაფო სხდომა, რომელზედაც განიხილავენ დიდმნიშვნელოვან საკითხს ვალიუტის შესახებ. საბჭოს სხდომა დანიშნულია დღის პირველ საათისთვის.

✦ **სასამართლოს დაწესებულებანი ბათომში.** ქუთაისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეს იუსტიციის მინისტრმა წინადადება მისცა ჩაიბაროს ბათომის ოლქის დროებითი სასამართლოს დაწესებულებანი ყველა საქმითა და ინვენტარით და ოლქში მორიგი სესიები დანიშნოს.

✦ **თფილისის საგანგებო სასამართლოს სესია** ახალციხეში მიემგზავრება. სესიის მუშაობა აგვისტოს 8-მდე გასტანს. სესია სხვათა შორის ჩახანაშვილის საქმეს გაარჩევს. ჩახანაშვილს ბრალდება ქურდობა ფულის დამმზადებელ ექსპედიციაში და სხვაგან.

✦ **ქუთაისის საპყრობილე.** თანახმად იუსტიციის მინისტრის ბრძანებისა ქუთაისის საკატორღო საპყრობილეს უფროსად ტ. დემურია დაინიშნა.

✦ **ვალიუტა.** თფილისის კოოპერატივთა კავშირში ბათომიდან ცნობები არის მიღებული უცხო ვალიუტის კურსისა და მასთან სტერლინგის კურსის დაცემის შესახებ. ამასთანავე საერთოდ იზრდება ქართული ვალიუტის კურსი. ბათომის ბაზრის მდგომარეობა ამ ჟამად ბევრად გაუმჯობესდა. საქონელი თანდათან მოდის. ამ მოვლენამაც გავლენა იქონია ქართულ ვალიუტის მდგომარეობის გაუმჯობესობაზე.

✦ **რკინის გზის სადგურების უფროსებს** დეპეშით ეცნობა, არავითარ შემთხვევაში არ მიაბან მოსამსახურეთა ვაგონი ადგილობრივ, და განსაკუთრებით ბორჯომის საგარაკო მატარებლებს. გამონაკლისი შეუძლიათ დაუშვან მხოლოდ მაშინ, თუ სამსახურის უფროსი დაამოწმებს რომელიმე მოსამსახურე პირის სასწრაფოთ გამგზავრების საჭიროებას და ისიც იმ შემთხვევაში, თუ ამ პირთ გზათა ექსპლოატაციის უფროსის საგანგებო ნებართვა ექნებათ. ამასთანავე ეცნობა რკინის გზის სადგურებს აწარმოონ ყველა მოსამსახურეთა ვაგონების რეგისტრაცია, რომლებიც სამგზავრო მატარებლებზე იქნება მიბმული. ამის შესახებ მათ საჩქაროდ უნდა აცნობონ მთავარ სამმართველოს.

✦ **თეთრი ნახშირი.** მიწად-მოქმედების სამინისტრომ საკონცესიო ხელშეკრულობა დასდო ბ. ა. გიზთან მდ. ტყვიბულის ჰიდრავლიურ ენერგიის გამოყენების შესახებ. ბ. გიზს მიზნად აქვს ელექტრონის ენერგიის მიღება და მისი გადაცემა ქუთაისის გუბერნიის იმ რაიონებში, სადაც იგი საჭიროებას წარმოადგენს. ხელშეკრულობაში არის მუხლი, რომელიც მთავრობას უფლებას აძლევს ვადის შესრულებამდე კონცესიის გამოყიდვისას.

✦ **დამფ. კრების პრეზიდიუმის სახელზე** დამფ. კრების წევრის ანჯაფარიძისაგან შემდეგი დეპეშა არის მიღებული: „ქამდის სოფელ ბორჩხის, მარადიდისა და აგრეთვე სხვა სოფლების მცხოვრებლები შემხვდენ პურ-მარილით და მთხოვეს გადავცე დამფ. კრებას და მთავრობას მათი უსაზღვრო სიხარული ბათომის საქართველოზე გადაცემის გამო და მთხოვეს მოგილოცოთ ასეთი ბრწყინვალე გამარჯვება.

✦ **სალამი ბათომის გვარდიისაგან.** სახალხო გვარდიის მთავარმა შტაბმა შემდეგი დეპეშა მიიღო: ბათომის სახალხო გვარდიელთა კრების თავმჯდომარის დოლბაიასაგან: „ბათომის გვარდიის პირველი თავისუფალი კრება მხურვალე სალამს მოგიძღვნით რევოლიუციის ერთგულ დამცველებს, მუშათა წრიდან გამოსულ მეომრებს, დღემდე საშუალებას მოკლებულნი გაგვეზიარებინა თქვენი ჭირი და ლხინი თქვენთან ერთად ბრძოლაში პირდაპირ მონაწილეობის მიღებით, დღეიდან ფიცსა ვდებთ სიცოცხლის დაუზოგველათ ვეკვეთოთ მუშათა კლასის მტერთ და ორგულთ და საკუთარის სისხლით გავაპოხიეროთ ნიადაგი სოციალისტური წყობილებისათვის.“

✦ **ყოფილ გენერალ-გუბერნატორ მაღლაკელიძის** და სხვათა საქმის გარჩევა დასრულდა 21 ივლისს. ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ დასვა 9 კითხვა. ოთხი საათის თათბირის შემდეგ ნაფიც მსაჯულებმა გასამართლებელი განაჩენი გამოიტანეს შალვა მაღლაკელიძის და ალექსანდრე აზნაუროვის შესახებ. დანარჩენნი დამნაშავეთ იცნეს. ამის თანახმათ: 1) პორუჩიკ საზონის კონდრატის ძე ჩაჩიბაიას მიეცა სასჯელათ ორი წელიწად ნახევარი ტუსაღთა გამასწორებელი რაზმი (31 იანვრის კანონის 45 მ. ძალით ჩაეთვალა სასჯელის ვადაში სამი თვე და ოცდა ორი დღე წინასწარ ციხეში ჯდომისა) 2) ვალენსი ვიკენტის-ძე იუშკევიჩს წელიწად ნახევარი (ჩაეთვალა ხუთი თვე და შვიდი დღე). 3) დავით გრიგორის-ძე შენგელაიას წელიწად ნახევარი (ჩაეთვალა ხუთი თვე და სამი დღე). 4) ნესტორ მინის-ძე ხოშტარიას მიესაჯა წელიწად ნახევარი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამოქალაქო საჩივრის დასაკმაყოფილებლათ გადახდეს ას ორმოცდა ათი ათასი მანეთი ბრალდებულს საზონ ჩაჩიბაიას და იუშკევიჩს თანასწორათ და ურთიერთ შორის პასუხისმგებლობით და ოთხასი ათასი მანეთი ბრალდებულთ ჩაჩიბაიას, იუშკევიჩს და შენგელაიას თანასწორათ და პასუხისმგებლობით.

✦ **თიანეთიდან** შემდეგი დეპეშა მივიღეთ: 20 ივლისს გვარდიელებმა მოჰკლეს ბოკონის ტყეში ცნობილი ყაჩაღი გიგია და იაური, რომელმაც მაზრაში მრავალი დაცემა მოახდინა. 21 ივლისს მილიციამ და გვარდიამ სოფელ კუპრიანთკარში აღმოაჩინა მრავალი ქონება ყაჩაღების მიერ მიბარებული იოსებ სამხარაულის სახლში. ერობის თავმჯდომარე პაპავა.

✦ **იურიდიული დახმარების მოწყობა.** იურისტების კავშირს განზრახული აქვს მოაწყოს თფილისში მცხოვრებთათვის იურიდიული დახმარების მოწყობა. იურისტების კავშირმა თხოვნით მიმართა სეკრეტარიატს დაუთმოს მას ამ მიზნით მუშათა სასახლეში ერთი ოთახი, რათა შემოიღოს მუდმივი მორიგეობა თავისი წევრებისა.

✦ **მუშათა ცენტრალური კლუბი.** (პლეხანოვის პრ. № 123). პარასკევს 23 ივლისს საქართ. ცენტრ. კოოპერ. კავშირი გამართავს პირველ კოოპერატიულ საღამოს. პროგრამა მოხსენება ი. ირემაშვილისა „მუშათა კოოპერაციის განვითარება დასავლეთ ევროპაში“, მოხსენება ალ. ერქომაიშვილისა თფილისის კოოპერაციის შესახებ. კინემატოგრაფი ნაჩვენები იქნება ბრძოლის ველზე საქართველოს ცენტრ. კავშირის კინემატოგრ. განყ. მიერ გადაღებ. სურათებს „ადერბეიჯანის ფრონტი“. ბაღში დაუკრავს სამხედრო მუსიკა. ღამის 11 საათამდის ლოტო.

✦ **სამხედრო სამინისტროს კულტურა-განათლების** სექციის უფროსი ლექტორი-მასწავლებელი ალ. ჟორჟოლიანი გაემგზავრა ახალციხის მიმართულებით კულტურულ მუშაობის მოსაწესრიგებლათ ჯარში.

✦ **ახალი საბავშვო მოედანი.** თფილისის ქალაქის გამგეობა 26 ივლისიდან ხსნის ალექსანდრეს ბაღის შუა ადგილას საბავშვო მოედანს, სადაც ყოველდღე კვირა დღეების გარდა, 10—12 საათამდის იქნება ბავშვების ფიზიკური ვარჯიშობა ი. მ. სუნდუკიანცის ხელმძღვანელობით. შესვლა უფასოა.

✦ **ყოფილ სემინარიელ მოწაფეთა** სია, რომლებმაც დაასრულეს თფილისის ვაჟთა მე-6 გიმნაზია: არევაძე ივანე, ალნიაშვილი ბაბაკიშვილ ელიზბარი, ბალანჩივაძე იროდიონ, ბარამიძე ბენიამინი, ბარამიძე ქსენაფონტე, ბიწკინაშვილი მიხეილი, გიორგაძე გერმანე, გიორგობიანი ალექსანდრე, გოზალიშვილი კანდელაკი ბენიამინი, კახაია არჩილი, მაჭარაშვილი ბაგრატი, მაღალაშვილი არჩილი, მახარაძე ლადიმა, ნაცვლიშვილი ვასილ, მიროტაძე გიორგი, ტაბატაძე ვარლამ, ფერაძე ვასილი, ქარუხნიშვილი რევაზ, ქოჩლაძე გიორგი, ტროლაშვილი მიხეილი, ცინცაძე მირონ, წიკლაური ლადო, ციხისთაშვილი ლუკა, ხოჭოლავა ბორისი, ხოსიტაშვილი ივანე, ხუხუნი ნიკოლოზი, ხვიტია ვლადიმერი, ძიმისტარიშვილი აკაკი, ღვალაძე გერვასი, ჭანკვეტაძე ვახტანგი, ჯიბლაძე გერონტი.

✦ **ახალი წიგნები** დაიბეჭდა და იყიდება საკუთარ წიგნის მაღაზიაში (რუსთაველის პროს. № 9 სასტ. „ორიანტის“ ქვეშ) წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემანი: 1) ლალიონი, მოთხრობები, 2) კლდიაშვილის მე-2 ტ., მოთხრობები, 3) ეგ. ნინოშვილის, თხზულებანი მე-2 ტ. 4) ვ. ბარნოვის თხზულებანი 1 ტ. 5) ვეფხის ტყაოსანი იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა: 1) ეგ. ნინოშვილის თხზულებანი 1 და მე-3 ტ.

✦ **ორთაჭალის მუშათა კლუბში.** კვირას, 25 ივლისს, კლუბის საზაფხულო შენობაში, კლუბთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველი წრის მიერ მსახიობების დახმარებით დადგმულ იქნება დრამა „ქრისტინე“, შექენილია ახალი დეკორაციები, ბაღში დაუკრავს საკუთარი ორკესტრი. დასაწყისი საღამოს სრულ 8 ს.

✦ **ვიპოვნე** 21 ივლისს ქუჩაზე პატარა ხალიჩა, რომელიც ინახება ჩემს ოთახში. მისამართი: კობის შესავალი, № 5. (უბნის) გრიგოლი აკიმის ძე ალენიკოვი.

**შეცდომების შესწორება.** გუშინდელ ნომერში „ს. დ. პარტიაში“ ამხ. ჟურულის მოხსენებაში: რამდენჯერ იმართებოდეს თვეში ქვე-კოლექტივის კრებები... უნდა იყოს: რამდენჯერ იმართებოდეს თვეში **საზოგადო კრებები...**

[illegible]

## მთავრობაში

[illegible]

## მიწათ-მოქმედების სამინისტროში

[illegible]

## საქართველო და იტალია

[illegible]

## უცხოეთი

[illegible]

## ნეკროლოგი

დაღუპულ გმირების ხსოვნას.

[illegible] ჩვენს გულს ხვდებოდა... მაგრამ გვარდიამ იცის რა უნდა აკეთოს უბედურების დროს!..

წითელი ხიდის მიმართულებით ბრძოლის ველზე დაეცა საგანგებო ბათალიონის 11 საუკეთესო ამხანაგი: **ბარ. ლაბაძე** (ოფიც.), **ჩახუნაშვილი, მ. ვადაჭკორია, გობეჩია ი., გოგოლაშვილი გალ., კიკნაველიძე სერ., რაჭმაძე დან. მაჭარაშვილი შ., ბერუაშვილი არსენ, სიხარულიძე სამ., და გიორგაძე თედორე.**

რევოლიუციონური გვარდია ვერ დაივიწყებს საფლავში ჩასვენებულ გმირებს, ვერ დაივიწყებს მათ, ვინც დემოკრატიის იარებს მალამოთ დაედვა...

საგანგებო ბათალიონის დახოცილ გვარდიელთა ოჯახები ძძებში გახვეული, თმა-გაწეწილი და თვალ-ცრემლიანი უიმედოთ გამოიყურებიან. მოკლულთა უპატრონო და უმწეო ცოლ-შვილი ნაღვლიან თვალებით მოგვაგონებენ ჩვენს წმინდა მოვალეობას. დახმარება უნდა იმ დედებს, რომლებმაც აღზარდა თავისუფლების დარაჯი მებრძოლნი! გვარდიელებიც ცდილობენ მოიხადონ ძვირფასი ამხანაგების წინაშე წმინდა მოვალეობა,—ანუგეშონ ჭირში მყოფი ოჯახები და გაუწიონ მათ დახმარება.

თითოეულმა გვარდიელმა გადასდო თავის ჯამაგირიდან 10% და 22 ივლისს მართავს დიდ საღამოს მოკლულთა ოჯახების სასარგებლოთ.

ჩვენ ვიცით, რომ ეს მსხვერპლი არაა პირველი და უკანასკნელი. მუშათა კლასის ნარ-ეკლიანი გზა ბევრი თავდადებულ მებრძოლთა გვამებით მოიფინება, მაგრამ ეს არ გვაშინებს, რადგან ღრმად ვართ დარწმუნებული მუშათა კლასის იდეალების საბოლოო გამარჯვებაში, ბრწყინვალე მომავლის გამოჭედვაში. ხალხის საკეთილდღეოთ განწირვა და მისთვის გაღებული მსხვერპლი საამაყოა ჩვენთვის!..

ცრემლით არ ვიცილებთ დაღუპულ გმირებს! დროთა ბრუნვამ და აბობოქრებულ ცხოვრების საშინელმა დუღილმა გააქრო ჩვენში სათუთი გრძნობები... არ დაკტირიან თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, ბათალიონის გვარდიელები, მხოლოდ ფიცს გაძლევთ, რომ არავის მივცემთ ნებას თქვენი წმინდა სახელი და დაღვრილი სისხლი შეურაცჰყოს, რომ ტალახში გასვაროს წითელი დროშა და მშრომელი ხალხის დიადი მისწრაფებანი.

მშვიდობით!

ბათალიონის გვარდიელების სახელით ქოწიწებით მუხლს ვიდრეკ თქვენს წმიდა საფლავთა წინაშე და უკანასკნელათ გეთხოვებით!..

გვარდიელი დ. ო—ძე.

---

**აქვსენტი (ილარიონი) ანტონისძე გულაძის ხსოვნას.**

17 ივლისს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ს. ჭალადიდში აქვსენტი ანტონისძე გულავა. აქვსენტი იყო ს. ნასირის სასწავლებლის გამგე, რომელიც მუდამ ენერგიულად ეკიდებოდა საქმეს.

მისი საერთო ხელმძღვანელობით ს. ნასირში დაარსდა სასწავლებელი, სამკითხველო და სხ. აგრეთვე მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა საზოგადოებრივ და კულტურულ საქმეებში, რითაც სიყვარული და ნდობა დაიმსახურა მშრომელ ხალხში. 1905 წლიდან დაწყებული ამხ. აქვსენტი მონაწილეობას იღებდა სხვა მოწინავე მუშებთან რევოლიუციონურ მოძრაობაში და როგორც ასეთი, დევნილი იყო ძველი რეჟიმის მიერ.

დღეს, როდესაც თავისუფალია საქართველო, როდესაც ჩვენ სამშობლოს სჭირია ისეთი გამოცდილი მასწავლებელი, როგორიც აქვსენტი იყო, ის სამუდამოდ მოშორდა წუთისოფელს.

მშვიდობით ძვირფასო მასწავლებელო აქვსენტი! შენს ხსოვნას არ დაივიწყებს სენაკის მშრომელი ხალხი!

ჯარისკაცი **რაჟდენ მილორავა.**

---

ღრმა მწუხარებას გამოვსთქვამთ ძვირფასი მეგობრის, ხალხის მოამაგის და თავდადებულ მუშაკ-მასწავლებლის—აქსენტი ანტონის ძე გულუას უდროვო დაკარგვით. ცხარე ცრემლებით დავსტირით მის გაცივებულ ცხედარს.

**ნინა და პანტელეიმონ ბოხუა.**

## მდგომარეობა ენზელში და რეშტში

(ჩამოსულის ნაამბობი)

სპარსეთიდან ამ დღეებში თფილისში ჩამოსული პირი შემდეგ ცნობებს იტყობინება ენზელში და რეშტში უკანასკნელ ხანებში მომხდარ ამბების შესახებ.

ენზელისა და რეშტის რაიონში ინგლისელებს მხოლოდ ფერადი ჯარები ჰყავდათ, რიცხვით 5,000 კაცი. ენზელი მხოლოდ მცირე კალიბრის ზარბაზნებით იყო გამაგრებული. მათ ვერ ისარგებლეს თავის დროზე იმ ზარბაზნებით, რომლებიც „მოხალისეთა“ 16 გემზე იყო, იმ გემებზე, რომლებსაც ინგლისელებმა იარაღი აჰყარეს ენზელში, როგორც ნეიტრალურ ნავთსადგურში.

ბალშევიკების მოსვლა მოულოდნელი იყო როგორც მცხოვრებთათვის, ისე ინგლისელებისათვისაც. მაისის ერთ-ერთ დღეს, დილის 4 საათზე საბჭოთა ფლოტმა სროლა აუტეხა ზარბაზნებიდან ინგლისელების ბანაკს. საბჭოთა ფლოტი შესდგებოდა 4 ნაღმოსანისაგან და 6 სავაჭრო გემებისაგან, რომელიც ბალშევიკებმა შეაიარაღეს. ფლოტს უფროსობდა რასკოლნიკოვი. მცხოვრებლები პანიკამ მოიცვა. ბევრმა მიატოვა თავიანთი ქონება და ნავებით მიაშურეს რეშტს (მურად-აბის ტბით). ინგლისელები სუსტად უპასუხებდენ ბალშევიკების ცეცხლზე და რამოდენიმე ხნის შემდეგ მათ გაგზავნეს ბალშევიკებისაკენ ერთი გამანადგურებელი, რომელზედაც დელეგაცია იყო მოთავსებული. ბალშევიკების მიერ წამოყენებულ მოთხოვნილებებში, სხვათა შორის, შემდეგი იყო: ყველა ზარბაზნებისა და „მოხალისე“ ჯარისკაცთა და ოფიცრების ჩაბარება, რომლებიც ენზელში იყვნენ (1200 კაცი) ინგლისელებმა უარი განაცხადეს მეორე წინადადების შესრულებაზე: ბალშევიკების გაზეთების ამის წინააღმდეგი მტკიცება სინამდვილეს მოკლებულია. მხოლოდ შემდეგ, როდესაც გამოირკვა, რომ მარჯვენა ფრთაზე ბალშევიკებს უკვე გადმოესხათ დესანტი და ამით დასახევი გზა მოეჭრათ ინგლისელებისათვის,—მხოლოდ ამის შემდეგ ინგლისელების დელეგაციამ მიიღო შერიგების პირობები. ამ პირობების ძალით ინგლისელებს ნება მიეცათ დაეცალათ ქალაქი და თან წაეღოთ თოფები, ხოლო დაეტოვებიათ ზარბაზნები. ინგლისელებმა დაჰკარგეს 14 კაცი დაჭრილ დახოცილის სახით.

**ბალშევიკების მოსვლის პირველი დღეები.** სინამდვილეს შეიცავს ბალშევიკების ცნობები იმის შესახებ, რომ მცხოვრებლები აღფრთოვანებული შეხვდენ მათ: მცხოვრებლები ფიქრობდენ, რომ ბალშევიკები გაანთავისუფლებდენ იმ ტერიტორიას, რომელიც ინგლისელებს ეკავათ, მაგრამ ის კი არ იცოდენ, რომ მათ ნაცვლათ იმავე ტერიტორიას ბალშევიკები დაიკავებდენ. გემებიდან გადმომსხდარ ბალშევიკებში უმრავლესობას მეზღვაურები შეადგენდენ. ამათ გარდა იყვნენ 200 კაცისაგან შემდგარი ცხენოსანთა რაზმი და კოშანოვისა და აბუკოვის რაზმები. დასტოვეს რა ენზელი, ინგლისელებმა თავი მოიყარეს რეშტში, სადაც მათ დიდძალი ავტომობილები ჰყავდათ; 1 ივნისისთვის მათ რეშტიც დასტოვეს და წავიდენ მენჯლისკის უღელტეხილისაკენ. ამ წასვლაზე არავითარი გავლენა არ მოუხდენია არც ბალშევიკებს და არც კუჩიკ-ხანს და ბალშევიკების ცნობები რეშტთან შეტაკების შესახებ გამოგონილი ამბავია. კუჩიკ-ხანი, რომელიც უწინ ტყეში ცხოვრობდა, თავისი რაზმით („ტყის ძმებიდან“ შემდგარი) ენზელში მოვიდა და დიდის ზეიმით იქნა მიღებული ბალშევიკების მიერ. რამოდენიმე დღის შემდეგ კუჩიკ-ხანი შეუდგა ახალ რაზმის მოწყობას, რომელსაც ბალშევიკები უხვათ აძლევდენ ტანისამოსს, იარაღს, ტყვიისმფრქვეველებს.

**16 ივნისის ამბები.** ამ დღეს მომხდარ ამბების შესახებ, რამაც ბევრი ადამიანის მსხვერპლი შეიწირა, საბჭოთა პრესა დაჟინებით სდუმს; და ეს მაშინ, როდესაც რეშტის ქუჩებში 16 ივნისს მომხდარ შეტაკებამ დიდი გავლენა მოახდინა შემდგომ ცხოვრებაზე და ძირიანად შესცვალა მცხოვრებთა დამოკიდებულება ბალშევიკებისადმი.

რეშტში უკანასკნელ ხანებამდე იარაღ აუყრელი რჩებოდა სპარსეთის ყაზახთა რაზმი, რიცხვით 700 კაცი, როტმისტრ ბულაცელის უფროსობით. საბჭოთა სარდლობამ აღუთქვა, რომ ხელს არ ახლებდა ამ რაზმს. ბალშევიკები ყოველგვარ ზომებს მიმართავდენ, რათა ეს რაზმი თავის მხარეზე გადაებირებიათ; მაგრამ ყაზახებზე არავითარ გავლენას არ ახდენდა ბალშევიკური პროპაგანდა, თუმცა ისინი სინიდისიერად დადიოდენ ყველა მიტინგებზე,—დადიოდენ შეიარაღებულნი, ვინაიდან ეშინოდათ ბალშევიკებისა და კუჩუკ-ხანელების მოულოდნელ გამცემლობის.

ამოსწურეს რა ყოველგვარი ზომები უშედეგოდ, ბალშევიკებმა ბოლოს მიმართეს უკიდურეს საშუალებას. 16 ივნისს, დილის 4 საათზე 2000 კაცისაგან შემდგარი ბალშევიკების რაზმი, ადერბეიჯანელ ასკერების რაზმი და ერთი რაზმიც კუჩუკ-ხანელებისა გარს შემოერტყენ ყაზახებს, სადაც ყაზახები ბინადრობდენ, და დაუწყეს სროლა ზარბაზნებიდან და ტყვიისმფრქვეველებიდან.

ყაზახები არ მოელოდენ ამას და თუმცა მამაცურათ იცავდენ თავს, მაგრამ 3 საათის ბრძოლის შემდეგ იძულებული გახდენ იარაღი დაეყარათ; მოკლულდახოცილთა რიცხვი ორივე მხარეზე აუარებელია. ყაზარმების ახლოს მოთავსებული ხოშტარიას რკინის გზის სამართველო და მოსამსახურეთა სადგომი სახლი საშინლათ დაანგრიეს და გაძარცვეს. ზოგიერთი მეზღვაურები შესაძლებლობის ფარგლებში, ხელს უშლიდნენ ნივთების დატაცებას, რაც გაკვირვებას იწვევდა კუჩუკ-ხანელებში.

ბალშევიკები მოითხოვდენ ოფიცრების დახვრეტას. მაგრამ ამის წინააღმდეგ გადაჭრით გაილაშქრა კუჩიკ-ხანმა. რაზმის ოფიცრები მხოლოთ იარაღაყრილნი და შეხიზნულნი იქნენ რეშტის ახლო მდებარე ერთ-ერთ სოფელში.

**ეკონომიური ცხოვრება.** ზემოთ აღწერილ ამბებმა გავლენა იქონია რეშტის ცხოვრებაზე იმით, რომ დიდი პანიკა გამოიწვია ვაჭართა წრეებში: ყიდვა-გაყიდვა შესწყდა, ბანკნოტების ფასი ჩქარის ნაბიჯით დაეცა,—ათი დღის შემდეგ ბანკნოტის ფასი ნომინალურ ღირებულებასთან შედარებით უკვე 30% დაეცა. დაეცა აგრეთვე საბჭოთა და ადერბეიჯანის ბონების ღირებულება: 1000 მ. ფასი 20-დან 3 კრონამდე ჩამოვიდა; საბჭოთა 1000 მანეთში აძლევდენ 10 კაპეიკს ვერცხლით. სურსათ-სანოვაგის ფასმა სწრაფათ იმატა: პურის ფასი 16 შაიდან 30-მდე ავიდა; შაქარი—2-დან 4 კრონამდე. ერთად ერთი საქონელი, რაზედაც ფასები არ აწეულა, პირიქით, დაეცა კიდეც, იგი ბრინჯია; ეს იმიტომ, რომ ბევრი ბრინჯის მქონე პირებს ეშინოდათ რეკვიზიციის და იჩქაროდენ გაესაღებიათ იგი. საუკეთესო ბრინჯი („ხანსკი“) შეგიძლიათ იყიდოთ 10—12 კრონათ (2 მ. ვერცხლით). დანარჩენ ნაწარმოებზე ფასებმა საშინლათ მოიმატა, რასაც შედეგათ ის მოყვა, რომ მცხოვრებთა უღარიბესი ნაწილი აშკარათ გამოსთქვამს თავის უკმაყოფილებას ბალშევიკების მიერ მიღებულ ზომების შესახებ (ამაზე ცოტა ქვევით).

**ადერბეიჯანის ჯარის ნაწილები.** საბჭოთა სარდლობამ, რომელმაც წი-

თელ არმიელებით გაავსო ბაქო, ყოველგვარი ზომები მიიღო, რათა ქალაქიდან გაეყვანა ის ასკერები, რომლებიც სულაც არ „გაწითლდნენ.“ ბაქოდან ენზელში იქნა გადაყვანილი ასკერთა რაზმი (რომელიც მონაწილეობას იღებდა სპარსელ ყაზახების განიარაღებაში); 25 ივნისს იქ მოვიდა აგრეთვე ასკერთა ბატალიონი და ასკერების კავალერია. მათი მოსვლის დროს ქალაქში მოვიდა აგრეთვე კუჩიკ-ხანი, რომელმაც ალუმი მიიღო ნაპირზე—„კავკაზ და მერკურის“ ნავების გასაჩერებელ ყურესთან (пристань), სხვათა შორის, უნდა აღინიშნოს, რომ ადერბეიჯანელები საცოდავ სანახაობას წარმოადგენდნენ.

**მთავრობის ზომები.** ახლად შემდგარ კუჩიკ-ხანის დემოკრატიულ მთავრობის შეიარაღებულ ძალებში შედიან ბოლშევიკური ჯარის ნაწილებიც· თვითეულ რუს ჯარის კაცს მთავრობამ აღუთქვა აძლიოს თვიურათ 36 „თუმანი“, მაგრამ მთავრობამ დანაპირები სავსებით ვერ შეასრულა. ბოლშევიკების სარდლობამ განაცხადა, რომ რუსული ნაწილები დაშლილია და სპარსეთის სამსახურში დარჩებიან მხოლოდ მეზღვაურები, რომლებიც ამაზე სურვილს განაცხადებენ: ფაქტიურათ კი არაფერი შეცვლილა.

პირველ ყოვლისა მთავრობამ მოსპო უცხოელების ყველა კონცესიები და განაცხადა, რომ მათი ქონება გადარიცხულია სახელმწიფო საკუთრებათ. ამრიგათ ჩამორთმეული იქნა ა. მ. ხოშტარიას რკინის გზა (პირ-ბაზარ-რეშტის ხაზი, სიგრძით 9 ვერსი); ხოშტარიას წარმოებათა კასას კონფისკაცია უყვეს, რეკვიზიცია უყვეს მისივე „ბარჟებსა“ და მატორიან ნავებს. სახელმწიფო საკუთრებათ გადაირიცხა აგრეთვე სხვილი წარმოება ნობელის, ლიანოზოვის, ალიევისა და სხვების. მქონე კლასებს დაადევს დიდი გადასახადი: მაგ. ხანებს უნდა შეეტანათ ერთდროულად მთავრობის ხაზინაში თითოს 300 ათასი „თუმანი“, ე. ი. 1 მილიარდი მან. ბონები. წინანდელი სახელმწიფო მოსამსახურეები გადაყენებულნი არიან და მათ ალაგზე აირჩიეს ახლები. გუბერნატორი და კარგუზარი დატუსაღებულნი არიან.

უნდა აღინიშნოს, რომ კუჩიკ-ხანის მიერ მიღებული ყველა ზომები უმთავრეს ნაწილათ უცხოელებს ეხება, მათ რიცხვში რუსებსაც, რომლებსაც უჭირ ექსპლოატაცია ენზელი-თეირანის შოსსე. მიწები უწინდელ მეპატრონეთა ხელში დარჩა (მაგრამ მიწაზე შემოღებულია დიდი გადასახადი). ეს გაუგებრობას ქმნის ბოლშევიკების მხრივ, რომლებიც მოითხოვენ რეპრესიების ხმარებას მემამულეთა წინააღმდეგ, მოითხოვენ ინვენტარის რეკვიზიციას ქონებათა კონფისკაციას და საზოგადოთ, ყველაფერს ისე, როგორც ეს მათ გააკეთეს რუსეთში. თუ როგორ უარყოფითად უყურებს კუჩიკ-ხანი ასეთ რჩევას,—ეს ნათლათ სჩანს იმ განცხადებისგან, რომელიც მან გააკეთა ხოშტარიას წარმოებაში მოსამსახურეთა ერთ-ერთ ჯგუფთან.

**კიჩიკ-ხანთან.** ხოშტარიას წარმოებაში მომუშავენი მეტათ კარგათ მიიღეს კუჩიკ-ხანთან და მათ ყველაფერი მოუსმინეს. საპასუხო სიტყვაში მოსამსახურეების წინაშე კუჩიკ-ხანმა სიტყვა-სიტყვით შემდეგი განაცხადა: „მე ძალიან მიყვარს ქართველები, რომელთა შორისაც ბევრი მეგობრები მყავს პირველ რევოლუციიდან. მე კარგათ ვიცნობ ბოლშევიკების პროგრამასაც და მოქმედებას; მაგრამ მისი სავსებით განხორციელებას მე არ ვფიქრობ. ჩემს მიზანს შეადგენს თეირანის მთავრობის ჩამოგდება და ძალა-უფლების გადაცემა სპარსეთის დემოკრატიულ მთავრობისათვის, რომელიც სასურველ წეს-წყობილებას დაამყარებს სპარსეთში. მე არ ვფიქრობ აქ გავიმეორო ის, რაც ბოლშევიკებმა იქ,—რუსეთში მოიმოქმედეს, მათ ექსპერიმენტებს ალაგი არ ექნება სპარსეთში“.

**ბოლშევიკების სულიერი განწყობილება.** კუჩიკ-ხანის შეხედულებათა ახლო გაცნობამ ბოლშევიკები ცოტა არ იყოს გლახა გუნებაზე დაყენა. გარდა ამისა დაიბადა უთანხმოება ერთ მხრივ წითელ არმიელებსა და მეზღვაურებს და მეორე მხრივ ბოლშევიკურ სარდლობას შორის იმ ნიადაგზე, რომ სპარსეთის მთავრობა წესიერათ არ აძლევდა მათ შეპირებულ 36 „თუმანს“. ამიტომ წითელ ნაწილებს შორის დაიბადა სახლში დაბრუნების სურვილი. ზოგიერთი მათგანი უკვე წამოვიდა ბაქოში გემ „ტულა“-თი მიუხედავათ კომისრების ენერგიულ აგიტაციისა „უმაღლეს მისიის“ შესახებ, რომელიც ბოლშევიკებმა უნდა განახორციელონ აღმოსავლეთში.

— ბაღდადისაკენ? ინდოეთისაკენ? — კითხულობენ ისინი.—მერე რა უნდა ვნახოთ იქ ჩვენ? ნუ თუ ეს ველურები რაიმეს გაიგებ ჩვენსას?

კუჩიკ-ხანის შესახებ ისინი ყოველთვის ასე ლაპარაკობენ: „ეს, როგორც სჩანს, კერენსკიზე უფრო მემარჯვენე იქნებაო“... საბჭოთა სარდლობა გულწრფელათ დარწმუნებულია იმაში, რომ კომუნისტური ლოზუნგები აქ ვერ ჰპოებენ ნაყოფიერ მუშაობას. **პ.**

# აკაკი ჩხენკელი ქუთაისში

18 ივლისს, ამხ. აკ. ჩხენკელმა მუშათა კლუბ „ინტერნაციონალში“ გააკეთა მოხსენება: „ამიერ კავკასია და საქართველო“.

დიდ ძალმა ხალხმა მოიყარა თავი კლუბში.

მომხსენებელმა ვრცლათ გააცნო დამსწრე საზ—ბას დღევანდელი მდგომარეობა ამიერ კავკასიისა და კერძოთ საქართველოსი. მან აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს უცხო სახელმწიფოების თვალში ჩვენ გამარჯვებას ადერბეიჯანზე, რომლის ომის დროს ასე ერთსულოვნათ მოქმედებდა ქართველი დემოკრატია, აგრეთვე აღნიშნა ისიც, თუ რა დიდი გამარჯვებაა ქართველი დემოკრატიისათვის ბათომში შესვლა, რომელიც ბრძოლით იქნა დატოვებული, მაგრამ გონიერი პოლიტიკის წყალობით სისხლის დაუღვრელათ იქნა შემოერთებული.

აგრეთვე აღნიშნა: მოსალოდნელია სომხეთშიც შევიდნენ ბოლშევიკები, მაშინ ჩვენ ვიქნებით ცეცხლის რკალით გარშემორტყმული და ეჭვს გარეშეა, ჩვენსკენაც მოინდომებენ ბოლშევიკები წამოსვლას, მაგრამ ამან არ უნდა შეგვაშინოს, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდა ჯარი და სახალხო გვარდია შესძლებს მათ უკუქცევას. გარდა ამისა, ჩვენი თანამგრძნობი ევროპის დემოკრატია თავის მედგარ ხმას აღიმაღლებს მათ წინააღმდეგ, როგორც თავდამსხმელებზეო და ჩვენ გამარჯვებული დავრჩებითო.

ილაპარაკა ბოლშევიკების იმპერიალიზმზე, და მათი მოქმედების მაგალითებით დაამტკიცა, რომ თანამედროვე ბოლშევიკების იმპერიალისტური მისწრაფება აღმოსავლეთისაკენ გაგრძელებაა ძველი რეაქციონური მთავრობის პოლიტიკის, მხოლოთ იმ განსხვავებით, რომ ბოლშევიკები უფრო ნიჭიერნი აღმოჩნდენ ძველ მთავრობაზე და აღმოსავლეთის ჩამორჩენილ ხალხებს იმორჩილებენ იმათივე (ისლამისტური) ლოზუნგებით, ამიტომ ლენინი დღეს ისლამის მიმდევრებს მაჰმადათ მიაჩნიათო, აი ამაშია განსხვავება ძველსა და ახალს იმპერიალიზმს შორის, არსებითათ კი ერთი და იგივე არისო.

აგრეთვე მათ აღმოსავლეთისაკენ ლტოლვას ხელს უწყობს ლოიდ-ჯორჯის პოლიტიკა, რომელიც ამბობს: ყველა ჩამორჩენილი ხალხი ფიქრობს ბოლშევიკებს ბედნიერება მიაქვთ მათთვის, და როდესაც დაინახავენ თუ რას წარმოადგენს ბოლშევიზმი, თვითონ შეაქცევენ ზურგსაო.

და მართლაც დასძინა მომხსენებელი— ჩვენი ახლო მეზობელი გაწითლებული ადერბეიჯანი ამის ცოცხალ მაგალითს წარმოადგენს. ისინი ფიქრობდნენ ოსმალეთთან შეერთებას, მაგრამ სხვა გამოუვიდათ. ეხლა ძალიანაც ცდილობენ დააღწიონ თავი ასეთ მდგომარეობას, მაგრამ გვიანღაა.

საერთოდ ბოლშევიკების სოციალიზმი ჩვენ უკვე ვიცით: დარბევა, დანგრევა. დარბევით და ნგრევით სოციალიზმი არ დამყარდება. ამიტომ ჩვენ მივდივართ მარქს-ენგელსის ნაჩვენებით გზით: დემოკრატიზმით სოციალიზმისაკენ.

როდესაც გერმანიაში რევოლუცია მოხდა მე გულის ფანცქალით ვადევნებდი თვალყურს, თუ რომელ გზას არჩევდენ გერმანელი ამხანაგები—ჩვენსას, თუ რუსეთისას? უნდა ითქვას, რომ ისინიც იმ გზას დაადგენ. ეს მაგალითი ერთხელ კიდევ ადასტურებს იმას, რომ ჩვენი გზა სწორია. და ჩვენი გამარჯვება და კეთილი მომავალი ეჭვს გარეშეაო დასძინა მომხსენებელმა.

მომხსენებლის სიტყვა დაუსრულებელმა ტაშმა დაფარა, მთელი მოხსენება ხალხი სულგანაბული უსმენდა. ცენტრის თავმჯდომარემ დამსწრეთა სახელით მადლობა გადაუხადა მომხსენებელს, რამაც კვლავ ტაში გამოიწვია.

**ი. ნატაშვილი.**

# თფილისის კოოპერ. კავშირი.

თფილისის კოოპერატიული კავშირი არსებობს თითქმის ოთხი წელიწადია. არსებობის პირველი ორი წლის განმავლობაში, დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული საქარ. ცენტ. კავშირის მიერ, და აგრეთვე კოოპერატივების რწმუნებულებიდანაც; მაგრამ სწორედ იმ დღიდან, რა დღიდანაც გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა, მას გამოუჩნდა მრავალი მტერი. ეს ის დრო იყო, როდესაც კაფიევებმა და ზურაბოვებმა თავიანთი თავი რუსეთის სოციალ დემოკრატიის პარტიის წევრებათ გამოაცხადეს. და ყოველივე ძალღონით ცდილობდნენ აქაური ორგანიზაციების დაშლას. მათ სურდათ კოოპერაცია გამოეყენებიათ, როგორც პოლიტიკურათ, აგრეთვე ქონებრივათაც თავის სასარგებლოთ. კავშირის გამგეობის ასეთმა პოლიტიკამ სრულიად დაუკარგა კავშირს ნდობა პასუხისმგებელ ორგანოებში. როგორი დამოკიდებულება ჰქონდა თფილისის კოოპერ. კავშირს ქალაქის თვითმართველობასთან? ორი წლის წინეთ წაუღია ქალაქის თვითმართველობიდან 80 ათასი მანეთის ღირებული შაქარი, რომელიც უნდა დარიგებოდა მცხოვრებლებს სასურსათო ბარათების თანახმად, მაგრამ დღესაც გამოურკვეველია, თუ ვინ გაიტანა ეს შაქარი და მასთანა ფულიც არ არის წარდგენილი ქალაქის თვითმართველობაში; აგრეთვე ყალბი საბუთით ვიღაც ბოროტ პირს გაუტანია კავშირიდან ასი ათასი მანეთის საქონელი და, რა თქმა უნდა, ეს ფული კავშირმა სრულიად დაკარგა. ყოველივე ამან აიძულა კოოპერატივები წინადადება მიეცა კავშირისათვის წლიური საზოგადო კრება საჩქაროთ მოეწვია; იგი იქნა მოწვეული იძულებით 8 ივლისს. კრება იყო მოწვეული 6 საათზე, კრების ინიციატორები ექვს საათზე გამოცხადდნენ, მაგრამ არ სჩანდა მოწინააღმდეგეები, გარდა გამგეობის ორი წევრისა,—სტაროსელსკის და კაფიევისა. შვიდი საათიც შესრულდა. მოითხოვა კრების უმრავლესობამ კრების გახსნა, კრებას ხსნის სტაროსელსკი. თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა ალექსან. დევდარიანი, მდივნებათ ბაბუნაშვილი და წირქვაძე. დღიურ წესრიგში იდგა შემდეგი კითხვები 1) 1919 წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება, 2) გამგეობის მოხსენება, 3) სარევიზიო საბჭოს მოხსენება, 4) ინსტრუქტორ ერქომაიშვილის მოხსენება, 5) 1920 წლის აღრიცხვის დამტკიცება, 6) გამგეობის არჩევნები და სხვა წვრილმანი კითხვები. კრებამ პირველი სამი კითხვები ერთად შეაერთა წესისამებრ.

მოხსენება დაიწყო სტაროსელსკიმ, მის მოხსენებას არავითარი მნიშვნელობა არ ქონია, მხოლოდ გამოირკვა ერთი ფაქტი: 1919 წლის ანგარიშის მოგებაში გვიჩვენეს 1919 წლის ანგარიში. მოგებიდან ექვსასი ათასი მანეთის მოგება, რაც რა თქმა უნდა ზარალია. მთელი გამგეობის მოხსენება მხოლოდ მიმართული იყო როგორც რესპუბლიკის, აგრეთვე ქალაქის თვითმართველობის წინააღმდეგ. კრებამ დაინახა მრავალი სიყალბე მოხსენებაში და კავშირის არსებობაში დეფექტები. მან ერთხმათ მიიღო ერქომაიშვილის წინადადება: კრებამ ანგარიში არ დაამტკიცა და ეხლავე შეუდგეს გამგეობის არჩევას რომელიც ერთი თვის ვადაში განიხილავს ძველ ანგარიშებს და წარმოუდგენს რწმუნებულთა შემდეგ ყრილობასო.

სხვა კითხვები კრებამ უყურადღებოთ დასტოვა. ამ წინადადების მიღების შემდეგ კაფიევმა, სტაროსელსკიმ და ვექილმა ბეგზადიანმა უხერხულათ იგრძნეს თავი და კრება დემონსტრატიულად დასტოვეს. კრებამ მათ უსურვა მშვიდობით წაბრძანება და შეუდგა არჩევნებს. გამგეობის წევრებათ ერთხმათ არჩეულ იქნენ 1) ადიაიაი, 2) მეგრელიძე, 3) ფეოდოროვი, 4) ბერეჟიანი, 5) ბაქრაძე.

ახლათ არჩეულ გამგეობაში სასურველი პირები შედიან და ვფიქრობთ შესაფერ ენერგიას გამოიჩენენ ამ საქმეში. აგრეთვე ახალი არჩეული გამგეობის ყურადღებას მივაქცევ იმ გარემოებას, რომ თანამშრომელთა შემადგენლობა ვერ სდგას თავის სიმაღლეზედ და მისი გადახალისება უთუოთ უნდა მოხდეს.

რწმუნებული **გ. გუბელი.**

# ს. დ.-პარტიაში

**თფილისი.** 15 ივლისს შესდგა ს. ს. ს. დ. მ. პ. მესამე რაიონის არა ჩვეულებრივი სხდომა, სადაც მოწვეული იყვნენ ქვეკოლლექტივის წარმომადგენლები და ავლაბრის რაიონის გვარდიის შტაბის წევრები.

არა ჩვეულებრივმა სხდომამ სასწრაფოდ განიხილა საკითხი თავ-დაცვის კომისიისა და აირჩია კომისია, რომელშიაც შედიან: კოლლექტივიდან—მიხ. წიწიშვაძე, გვარდიიდან—დ. ჩუთლაშვილი. საქმის გამოძიებას უნდა დაესწროს თფილისის კომიტეტის წევრი. ეს გადაწყვეტილება ეცნობა გვარდიის მთავარ შტაბს. გ. ბასილაშვილის შესახებ კოლლექტივმა მოისმინა საგამომძიებლო კომისიის მოხსენება. კომისია არჩეული იყო სპეციალურად გ. ბასილაშვილის პიროვნების გამოსაკვლევად. კომისიის მოხსენებიდან კოლლექტივს ეცნო, რომ გ. ბასილაშვილის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდება არ დამტკიცდა. ბასილაშვილის შესახებ განზრახ ავრცელებდნენ ცუდ ხმებს, ამას ამტკიცებს თვით ბრალმდებელის ჩვენება, ამიტომ კოლლექტივი ბასილაშვილს სავსებით ანთავისუფლებს ბრალდებისაგან.

**ვერხვი.**

# მუშათა შორის

**ავლაბრის მუშათა კლუბი.** 19 ივლისს შესდგა ავლაბრის მუშათა კლუბის გამგეობის სხდომა, იოს. ხუციშვილის თავმჯდომარეობით. სხდომამ განიხილა საკითხი მუშათა კლუბში ქართული წარმოდგენების დადგმის შესახებ. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ამ ბოლოს დროს დრამების დადგმით კლუბს დეფიციტი მოსდის. გამგეობამ სასურველად სცნო თვით პრეზიდიუმმა გადასწყვიტოს ქართულ წარმოდგენების მართვა, სანამ გამგეობამ შემოდგომის სეზონს მოაწყობდეს და მოიწვევდეს ამისთვის შესაფერს რეჟისორს.

კანტროლის დაქირავების საკითხი გამგეობამ მიიღო დაქირავებული იქნეს კონტროლი არა თვიურად, არამედ იმ საჭიროებისა და მიხედვით, როგორც ამას დაინახავს საჭიროდ პრეზიდიუმი წარმოდგენების მიმდინარეობის დროს.

მოსამსახურეთა ჯამაგირების მომატება უარყო გამგეობამ, ვინაიდან ამ ჟამად მუშათა კლუბი და პროექტორიც, ეს უკანასკნელი მაინც, სულ დეფიციტებს იძლევიან. სატარიფო პალატის მოწერილობა, რომელიც შეეხება ომში გაწვეულ პროექტორის დარაჯს, რომ ის დაეკმაყოფილებია გამგეობას თვიური ჯამაგირის მიცემით, გამგეობამ უარყო, ვინაიდან თვიური მოსამსახურეები გამგეობას დარაჯის სახით არ ჰყოლია; გამგეობას არა აქვს სალსარი, რომ თვიურ მოსამსახურეთ დაიქირავოს და ამიტომ ჰყავდა მას დღიური მოსამსახურენი.

გამგეობამ პროექტორის შესახებ დაადგინა, რათა მომავალი სხდომისათვის წარმოდგენილი იქნეს მთელი შემოსავალ-გასავლის ანგარიშები, რომელიც შეეხება პროექტორს.

გადაწყდა მოეწყოს მუშათა კლუბში საპარიკმახერო, რომელიც იაფ ფასებში სამსახურს გაუწევს მუშათა კლუბის წევრებს. **ვ—ი.**

---

**თფილისი.** ცენტრალურ გამგეობის დადგენილებით თანახმად 6 ივლისს შეიკრიბა კონფერენცია სურსათის საქმეზე მომუშავეთა. ყველა ქარხნებიდან გამოცხადდა დაახლოვებით 50-დე დელეგატი. აღნიშნული კავშირი აკავშირებს 3000-ზე მეტ მუშა-მოსამსახურეს შემდეგი საწარმოო დარგებიდან: პურისა და ხორცის საქმეზე მომუშავენი, საპნისა და საჭმელ ზეთის ქარხნის მუშები, ღვინის, ლუდის, ლიმონათის, კონიაკის, არყის და საკანდიტეროების მუშები.

პრეზიდიუმის სახელით ამხ. ს. ფანცხავა კონფერენციას აცნობს შემდეგ დღის წესრიგს, რომელიც უკამათოდ მიღებულ იქნა: 1) მომატების საკითხი, 2) ყველა ქარხნებისთვის შინაური წესების შემუშავება და 4) კოლექტიური ხელშეკრულების განხილვა და დამტკიცება.

პირველ საკითხზე მოხსენებას აკეთებს ამხ. გრ. შარაშიძე, ხოლო უკანასკნელზე ს. ფანცხავა. მეტი ინტერესი და სიცხოველე გამოიწვია პირველმა საკითხმა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო მთელმა რიგმა ორატორებისამ. მომხსენებელმა შემდეგი სთქვა: ჩვენი კავშირი, რომელიც ერთ უმთავრეს მუშათა ორგანიზაციად ითვლება, სდგას რა სახელმწიფოებრივ ნიადაგზე და სავსებით იზიარებს რა დემოკრატიული და სოციალისტური მთავრობის პოლიტიკას, ვალდებულია ამ საკითხის გადაწყვეტას ფრთხილად მოეკიდოს და გადამეტებული მოთხოვნილებით არ შექმნას ისეთი მდგომარეობა, რომელიც ზიანს მოუტანდეს რესპუბლიკას და მასთან ერთად ჩვენც. აუცილებლად უნდა იქნას შეფარდებული ჩვენი მოთხოვნილება სახელმწიფოს ფინანსიურ-ეკონომიურ მდგომარეობასთან.

მაგრამ ყველა ამან არ უნდა გაგვაჩეროს და არ უნდა დავმალოთ ის, თუ რას განვიცდით დღეს და როგორია ჩვენი ცხოვრების პირობები. თუ დროზე არ იქნა ზომები მიღებული, ჩვენ ის დღე მოგველის, რაც რუსეთის მუშათა კლასს მოუვიდა, რომელმაც დაჰკარგა თავისი პროლეტარული სახე. ჩვენ ბევრი გვაკლია. მართალია მთავრობა ჩვენი ღონითაა აღჭურვილი და ღებულობს ზომებს მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესებაზედ, მაგრამ ყველაფრის გაკეთება არ შეუძლია... შემდეგ ილაპარაკეს სხვა დელეგატებმაც. სამის წინააღმდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომლითაც 1 ივლისიდან მოთხოვნილია 100 პროცენტის მომატება ან ერთდროული დახმარების სახით 3000 მანეთის მიცემა.

შემდეგ განხილულ და დამტკიცებულ იქნა ყველა „სურსათის“ კავშირში შემავალ ქარხნებისათვის შინაური წესები.

ამით დასრულდა პირველი კრება, ხოლო კოლექტიური ხელშეკრულების განხილვას და დამტკიცებას მოუნდა ორი დღე, რომლის შემდეგაც კონფერენცია დაიხურა. **ვერა შარაშიძე.**

# პროვინცია

**პატარა ონის საზოგადოება** (რაჭა). 4 ივლისს მოხდა პატარა ონის საზოგ. ყრილობა. ყრილობას უნდა მოესმინა და დაედასტურებინა მთავრობის და ერობის ცირკულიარები, შესახებ სამხედრო ბეგარის მოხდის და დეზერტირების წინააღმდეგ ზომების მიღების; პირველათ ამხ. ს. ჭელიძემ ყრილობას ვრცლათ გააცნო კრებას ახლანდელი მდგომარეობა და ბათომის და მისი ოლქის საქართველოს ხელში გადმოსვლის ამბავი; ხალხი მეტათ გაახარა ამ ამბავმა. შემდეგ მომხსენებელმა ჭელიძემ წაიკითხა მთავრობის და რაჭის მაზრის ერობის ცირკულიარები, ყრილობამ გულდასმით მოისმინა მთავრობის განცხადებები და გადასწყვიტა, რომ არავინ დაფაროს დეზერტირები და ყველამ აასრულოს მთავრობის ყოველი გამოცემული დადგენილება.

შემდეგ სიმინდის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ი. ჭელიძე. მომხსენებელმა გააცნო ყრილობას, რომ პატარა ონის საზოგადოების ღარიბ მცხოვრებთ დაურიგდა მთავრობის გამოგზავნილი სიმინდი და ხორბალი პური 400 ფუთამდის შეღავათიან ფასებში, რამაც დიდი დახმარება გაუწია ხალხს; მაგრამ ეხლა სიმინდი და პური გამოილია უკვე.

სიმინდის გამოლევამ დიდათ დააღონა ხალხი. უნდა აღვნიშნოთ, რომ აქ შიმშილობაა, ბევრს იმედი აქვს ახალი პურის მოსავლის, მაგრამ მეტ წილს მცხოვრებლებისას პური არ უთესია. აქეთ და სიმინდის მოსავალი ადრე არ იქნება. სოფლათ გასასყიდი სიმინდი აღარავის აქვს, თუ სადმე იშოვნა კაცმა კოდი (4 ბათმანი) 2000 მან. ფასობს. საჭიროა დიდი ყურადღების მიქცევა.

ყრილობამ დაავალა რაჭის მაზრის ერობის ხმოსნებს ამხ. ს. ჭელიძეს და ამხ. ი. ჭელიძეს, რომ იშუამდგომლონ მთავრობასთან—მოგვაწოდონ საიდანმე სიმინდი. **აპანელი.**

---

**თიანეთი.** 11 ივლისს გაიმართა საზეიმო მიტინგი, ბათომის შემოერთების დღის აღსანიშნავათ. მიტინგს დაესწრო მრავალ რიცხოვანი საზოგადოება, მაზრის სხვადასხვა რაიონებიდან. მიტინგს ხსნის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის სამაზრო კომიტეტის თავმჯდომარე პაპავა, და აღნიშნავს ბათომის საქართველოსთან შემოერთების მნიშვნელობას. პირველი სიტყვა ეძლევა თიანეთის სამაზრო ერობის მუშა-მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის თავმჯდომარეს შარაშიძეს; შემდეგ ილაპარაკეს: სოციალისტ-ფედერალისტთა ორგანიზაციის წარმომადგენელმა ვ. ჯიბლაძემ, სახალხო გვარდიის წარმომადგენელმა კ. ბრეგვაძემ, ამხ. ჩაჩიბაიამ და ნ. სოზორომ. აქედან სადღესასწაულო პროცესია მიემართება მთავარი ქუჩით, შემოუვლის ირგვლივ დაბას და შემდეგ ჩერდება უმაღლეს დაწყებით სასწავლებლის ეზოში, სადაც იმართება ცეკვათამაში, ჭიდაობა და სხვადასხვა ტრადიციული გასართობები. დამსწრე საზოგადოება მეტად კმაყოფილი იშლება ნაშუადღევის 5 საათზე.

**დამსწრე.**

---

**გურია.** წელს თხილის მოსავალი გურიაში საკმაოდ არის, და მასთან კარგი თვისებისაა. ამისათვის საჭიროა კოოპერატივთა კავშირმა ეხლავე მიიღოს სათანადო ზომები თხილის შესაძენათ, ვინაიდან სეზონი თხილისა მოახლოებულია, და დრო დგვიანებას არ ითმენს, რომ მშრომელი ხალხი არ ჩავარდეს ჩარჩების ხელში. **X.**

# წერილი რედ. მიმართ

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გამოვუცხადო: ბ. ლუარსაბ მურვანიშვილს, რომელმაც 26 მაისს ჩემდამი რწმუნებულ სასწავლებელში გამართულ სადღესასწაულო საღამოზე შემოსწირა 1000 მან. და ქალთა საზოგადოების „მანდილოსანი„-ს წევრთ, რომელთაც თავიანთი შრომით საგრძნობი დახმარება გაგვიწიეს საღამოს მოწყობაში.

სურამის უ. დ. სასწ—ლის გამგე **ს. კიკაჩეიშვილი.**

---

რედაქტორი **ლევან ნათაძე.**


# განცხადებანი

## დაკარგე

უვადო ბილეთი მატარებელში ლანჩხუთიდგან თფილისამდე. მიღებულია თფილისის ყოფ. პოლიცმეისტრისაგან 1918 წ. რომელიც დღეის რიცხვიდგან ითვლება გაუქმებულათ.

**დავით ბაგრატის ძე დოლიძე**

(2408—1—1)

ყ. სრულ-უფლებიან გიმნაზიის გამგე მათემატიკის

## მასწავლებელი

ი. მ. მაჩაიძე იღებს მოწაფეებს განმეორებით გამოცდებზე მოსამზადებლად. მათემატიკაში და ენებში, აგრეთვე იანვრის და ივნისისათვის 3, 4, 5, 6 კლ. პლეხანოვის პრ. და ალექსის ქ. კუთხე, № 25—5, 9—1 ს. 4—7 ს. (2307 1—1

დოქტორი

## გ. გ. მეგრაბიანცი

შინაგანი ავადმყოფობა—ჭლექი და გულისა. იღებს ახალს რენტგენ-ილექტრო კაბინეტში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე. (1790—თ.)

ექიმი

## პ. ზ. ვართანოვი

სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულებები (სიფილისი „606“ და „914“ შეშხაპუნება). მიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სურამის ქ. № 9, ვაჟზნის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (2264—თ.)

ექიმი **მ. ა. შაფრანი**

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“ ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი: ოლღას ქ. № 33. (1288 25 4)

# იყიდება

## საკერავი მანქანა-შკაფი

ზინგერის სისტემისა.

პეტრედიდის ქუჩა № 18 მეორე სართული, ბინა № 6.

ექიმი **ლ. ა. სარალიძე**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 6—7 საათამდის ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87, ტელეფონი 3—19. ავჭალის აუდიტორიის ახლო. (2383—თ.)

ექიმი **ა. დ. კეკელია**

სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 4—6 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე“ პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 1838—თ.

ექიმი

## ნ. ა. არუთინოვი

სპეციალურათ სიფილისი (606 და 914) ვენერიული ტრიპერი, შარდის ორგანოების ოპერაცია ნდისკოპია (საშარდე მილის). მიხეილის პრ. № 80, ბინა 3. მიღება დილით 9—12 ს. საღ. 4 ნახ. 6 ნახ. საათამდე. (1555—თ.)

ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის სამხედრო ბეითალი—ექიმი

## ი. გ. ქუთათელაძე

იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავათმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის (ქოთაოს) საპს ვიკვლევ მალეინის შეშხაპუნებით. ვიით ცხენის სასულე—მილის ავათმყოფობას ვექიმობ Neimann-ის და Vessel-ის მეთოდებით. ყოველ დღე 3—6 საათ. ბელინსკის ქ. № 39, ბინა 2. (2010—15—1)

ექიმი **ივ. გოკერია**

პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 141; სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ. ქირურგ., ქალის სნეულებანი და საკუშერო. 1—2 ს. და 5—6 საათამდე. ტელეფონი 5—97. (1835—თ.)

ექიმი

გენრიხ ისაის ძე **პოლოხი**

(ქუთაისიდან)

ლეჩულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს საღ. 4—7 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის), ტელეფონი 7—38. (1741—თ.)

ექიმი

## გ. ი. ოქროპირიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქ. № 22, სოლოლაკი.

ექიმი

ზოლომონ ისაის ძე **პოლოხი**

(ქუთაისიდან)

იღებს ქალისა და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბელგიის ქ. № 5 ტელეფ. 10—55. (1742—თ.)

ექიმი

## ნ. მ. გაჩეჩილაძე

(შინაგან და ბავშვთა სნეულებათა) ავათმყოფებს იღებს დილის 8—10, საღამოს 4—7 ს. გრიბოედოვის ქ. № 4. (უ. 25—3

# საქართველოს სახაზინო რკინის გზათა სამმართველო

10 აგვისტოს 1920 წ. 12 ს. დღისით. მოუწოდებს შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებათ იმ პირთ, რომელთაც სურთ აიღონ

## სად. ბათომის I II და III კლ. ბუფეტები

ცხელი-საჭმელებით და საპარიკმახერო ამავე სადგურის მხოლოდ ზევით აღნიშნული ბუფეტები და საპარიკმახერო გაიცემა ცალ-ცალკე და სახელდობრ ასე: I და II კლ. ბუფ. ცალკე III კლ. კიდევ ცალკე განცხადებანი უნდა შემოტანილ იქმნეს პირადათ ან და გადმოგზავნონ ფოსტით განცხადებებს უნდა თან ახლდეს საქვითაო ბარათი საწინდრის ფულის რიცხვით 5000 მან. თვითეულ ბუფეტისათვის საპარიკმახეროსთვის კი 5000 მან. საწინდრის ფული უნდა შეტანილ იქმნეს სამმართველოს მთავარ სალაროში ან და ერთ-ერთ სადგურის სალაროში იმ შემთხვევაში თუ წინადადება შეჯიბრებაში მონაწილეობის მიმღებ ამა თუ იმ პიროვნებისა უარყოფილ იქნება საწინდრის ფული დაუბრუნდებათ მათ უკან. დაწვრილებით ცნობებს შეჯიბრების შესახებ იძლევა ექსპლოატაციის სამსახური 10—2 საათამდე დღისით რკინის გზათა სამმართველო იტოვებს უფლებას გასცეს იჯარით ბუფეტები და საპარიკმახერო თავის შეხედულებისამებრ ე. ი. არა დიდ განცხადებულ ფასშიაც. (ნ. 3—2)

# პროფესიონალურ და კოოპერატიულ მოძრაობის შესასწავლი კურსები

საქ. პროფ. კავშირთა ცენტრალური საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, საქ. კოოპერატივთა ცენტრალური კავშირი და თფილისის საავადმყოფო კასის გამგეობა აწყობს შემოდგომისათვის სამი თვის ვადიან კურსებს პროფ. მოძრაობისა, კოოპერაციის და დაზღვევის საქმეების შესასწავლად. (კურსების გახსნის დრო შემდეგ იქნება გამოცხადებული).

კურსებზე მეცადინეობა იქნება საღამოობით 6—9 საათამდე, დღისით კი პრაქტიკული მუშაობა ორგანიზაციებში. მეცადინეობა იქნება უსასყიდლოთ. უპირატესობა მიეცემა მუშათა და კოოპერატივთა ორგანიზაციების კანდიდატებს.

პროვინციელებისათვის იქნება უსასყიდლო ბინა.

მსმენელნი გამოცდილი იქნებიან წინდაწინ რექტორთა კოლეგიის მიერ.

ვთხოვთ პროფ. კავშირებს და კოოპერატივებს შეუდგენ სამზადისს და გამონახონ სასურველი კანდიდატები.

კურსებზე წაიკითხება ლექციები შემდეგ საგნებზე:

1. პოლიტიკური ეკონომია.
2. მუშათა კანონმდებლობა.
3. მუშათა მოძრაობის ისტორია.
4. პროფეს. მოძრაობის თეორია და პრაქტიკა.
5. სტატისტიკა და ფინანსები.
6. დაზღვევა.
7. ისტორია და თეორია კოოპერატიული მოძრაობისა.
8. ორგანიზაცია და პრაქტიკა პროფ. მოძრაობისა.
9. ორგანიზაცია და პრაქტიკა კოოპერ. მოძრაობისა.
10. ბუჰგალტერია.
11. პროფ. მოძრაობა საქართველოში.
12. კოოპერატიული მოძრაობა საქართველოში.

საჭირო ცნობების მისაღებათ მსურველთ შეუძლიათ მიმართონ კურსების მომწყობ საორგანიზაციო კომისიას შემდეგი მისამართით: თფილისი, რუსთაველის პრ. მუშათა სასახლე სართული 4, ოთახი 5, ტელ. 3—56.

(5—4) კურსების მომწყობი **საორგანიზაციო კომისია.**